ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფ. 1918 წ. კვირა, ნოემბერი 24

ყოველკვირეული ჟურნალი.

№ 2

# ჯარი და ერი



ყოველკვირეული ჟურნალი

„ჯარი და ერი“ მე-2 ნუმრის შინაარსი:

1) დაშნაკცაკანური პრესპექტივები; ტფილისის ძველი ციხე-სიმაგრენი, ა. ვ. აბესაძისა; ეკონომიური ხელშეკრულობანი, არტილერისტისა; ოფიცერთა საკითხი ჩვენს ჯარში, ი—ძესი; რა გზით უნდა ვიხსნათ თავი ფინანსიურ გაჭირვებისაგან, პ. უ—ნისა; ქართველ ჯარის-კაცის მოვალეობა, ალ. გორგაძისა; სამხედრო ცხენები საქართველოს რესპუბლიკაში, ბეითალ ქუთათელაძისა; ქართველი მოსწავლენი გერმანეთში; პრესა; სხვა და სხვა ამბები; ამქრის მშვენება (ფელეტონი), ვ. ბარნოვისა.

„ჯარი და ერი“

მიიღება ხელის მოწერა 1918 წ.

ჟურნალი წლის დამლევამდე ღირება 12 მ. ცალკე ნუმერი 2 მან. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქ. ტფილისი, რედაქცია „ჯარი და ერი“. რედაქცია და კონტორა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე № 5, და ღია არის დილის 11—2 ს. და საღამოს 6—8 ს.

რედაქტორი ა. ხ. ხვანიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტფილისი, ნოემბრის 24

**დაშნაკცაკანური პერსპექტივები.**

ისეთი მოუსვენარი ნაციონალიზმი, როგორიც სომხურია, არსად გაგონილა. იგი არაფერს უწევს ანგარიშს: არც დროს, და არც პოლიტიკურ პირობებს და ერთნაირათ თავხედურათ ილაშქრებს ყველაზე, ვინც მოხვდება: ოსმალებზე, ადერბეიჯნელ თათრებზედ ქართველებზე. გუშინ ჩვენ გადმოგვილახეს საზღვრები და მოგვიღერეს ხმალი, დღეს კიდევ ადერბეიჯანს ესევიან. სად ჰპოებს ძალას დაქსაქსული და დევნილი სომხის ერი ამ ძალათ გამოძებნილ მტრებზე იერიშის მოსატანათ? მართლაც და, სად ჰპოებს? ეკითხება ყველა თავის თავს და ძალაუნებურათ აღევნებს თვალს იმას, საითკენაა მისი გულისთქმა მიმართული. ინგლისი,— აი ის სახელმწიფო, რომლისგან სომხეთი თვის უფლებათა აღდგენას მოელის. ასე სწყვეტს დაბოლოს თავის გუნებაში ქართველი და მოუსვენრათ იყურება იქითკენ, საიდანაც მოელის ინგლისელს. მართლაც და, სომხურ პრესისთვის რომ გედევნებინათ თვალყური, ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ, თითქოს ლოიდ-ჯორჯსა და კაჩაზნუნის ხელშეკრულობა ჰქონდესთ დადებული: გაიხსნება თუ არა დარდანელის სრუტე, ინგლისელი ჯარები გადმოვლენ ლიხის მთაზე და ხონჩით მოართმენ ზინვორებს თბილისს. მაგრამ დარდანელიც გაიხსნა, თბილისში კი არც ინგლისელები სჩანან და, ღვთის მადლით, არც ზინვორები! არც აწი გამოჩნდებიან და რომ გამოჩნდენენ კიდეც, ჩვენ ეს ცუდს არაფერს გვიქადის.

ვის რა დაუშავა ქართველმა დემოკატიამ? ვის უღალატა მან? არავის! უერთგულა კი ბევრს. უერთგულა რუსეთის დემოკრატიას, როდესაც მან ბრესტის სამარცხვინო პირობები უარჰყო; უერთგულა დასავლეთის დემოკრატიას, როდესაც იარაღით ხელში შეებრძოლა ოსმალ-გერმანულ იმპერიალიზმს. მართალია, ჩვენ დავმარცხდით. თუ გნებავსთ, სამარცხვინოთაც დავმარცხდით, მაგრამ განა ეს ჩვენი ბრალია? უძლურება ისევე არაა ცოდვა, როგორც ძლიერება — სათნოება. დამარცხდა შავი-მთა, სერბია, რუმინია, მაგრამ ინგლისელებს აზრათაც არ მოსვლიათ შური ეძიათ მათზე. რაღას გვერჩიან მაშ ისინი ჩვენ! ან თქვენ რაღას გემადლიერებიან. სომხის ნაციონალისტებო? რაო? ბაღდადის აღებაში დაეხმარეთ, თუ უფრო ბაქოს დაკარგვაში? თუ ნაციონალურ თვით-გამორკვევის პრინციპის ძალით გეკუთვნისთ თქვენ მთელი ტერიტორია ერძინგიანიდან დაწყებული სურამის ქედამდე? ვაი რომ ტიგრან დიდის დროსაც არ ყოფილა ეს ასე! ეხლა კი დასახელებულ პუნქტებს შორის არ მოიპოვება არც ვილლაიეტი, არც გუბერნია, სადაც თქვენ დიდს უმცირესობას არ შეადგენდეთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვენის გულისთვის ინგლისი არავის გადაასახლებს თავის ქვეყნიდან. პირიქით, თუ უმრავლესობისაგან გამოხატულ თვითგამორკვევის პრინციპს გაჰყვება, იძულებული იქნება მუსულმანურათვე დასტოვოს ზემოხსენებული ადგილები. რა იცით, რომ ეს ასე არ მოხდება? ინგლისი ის იმპერიაა, რომელიც 40 მილიონ მუსულმანს იტევს თავის საზღვრებში. რათა გგონიათ, რომ იგი თქვენზე ნაკლებ ანგარიშს გაუწევს მათ?! ჩვენ სრულებითაც არა ვართ ამაში დარწმუნებულნი და ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ერთათ-ერთი გზა, რომლითაც სომხის ნაციონალისტებს შეუძლიანთ შეუმსუბუქონ თავის ერს ბედისგან დანაკისრი მძიმე სვე, მეზობლებთან მორიგების გზაა. ნურც ხმალზე ივლებთ ხელს წარა-მარა, ნურც ხიდებს ანგრევთ და ნურც სხვა რასმე აფეთქებთ. პატივი ეცით თქვენს მეზობლებს, რათა პატივი გეყოთ თქვენც მათგან. დაიმახსოვნეთ, რომ ეროვნულ საკითხის გადაჭრა მაშინ, როდესაც ერი მოკლებულია საკუთარ ტერიტორიას, თეორეტიულათაც უზომო სიძნელეს წარმოადგენს, არა თუ პრაქტიკულად.

---

## ტფილისის მველი ციხე-სიმაგრენი

**(ისტორიული მიმოხილვა)**

დიდი გაჭირვება უნახავს ჩვენის სამშობლოს სოფელ-ქალაქებს თვის არსებობის დღიდან; არა ერთხელ გადამწვარა და აოხრებულა საქართველო; მაგრამ დედამიწის ზურგზე არცერთ ქალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქს გამოუვლია იმდენი ტანჯვა-ვაება და იმდენჯერ არ ჩასცემია მტრის მახვილი გულში, რამდენჯერაც ტფილისს. ვინ გინდათ, რომ არ სწვევოდა ჩვენს დედა-ქალაქს და არ აეოხრებინა იგი!? ჰუნნი, სპარსნი, ბიზანტიელნი, არაბნი, მუღალნი, თურქნი და თათარნი ერთმანეთს ეჯიბრებოდენ ტფილისის აოხრებაში. განსაკუთრებით საგრძნობლათ აოხრდა ტფილისი აღა-მამადხანის შემოსევის დროს, 1795 წ. ენკენისთვეში მისმა ველურმა ხელმა სამუდამო ბეჭედი დაასვა ტფილისს და დააჩქარა საქართველოს პოლიტიკურათ თვით-არსებობის საკითხის გადაჭრა.

ამ უკანასკნელ ბედშავ დღეების მოწამენი დღეს ტფილისის ციხე-სიმაგრეთა ნაშთები დარჩენილან.

სოლოლაკის გორიდან ამაყურათ გადმოსცქერიან დღეს თავისუფალ ტფილისს ძველ ციხისა და კოშკების ნანგრევნი, მის ტანჯვის დღეთა მოწამენი. როგორც ვიცით, მეფე ერეკლემ, სიბერის დროს, რომ ვერ შესძლო მრავალრიცხოვან მტერს გამკლავებოდა, რუსეთს მფარველობა სთხოვა.

თუმცა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე სიტყვით ყველაფერს ჰპირდებოდა ერეკლეს, მაგრამ საქმით კი არაფერს აკეთებდა და გულში არც ძალიან ნაღვლობდა, თუ საქართველოში ქვა-ქვაზე არ დარჩებოდა. „ჩამოშორდი რუსეთს, უარჰყავ რუსები“, სწერდა ერეკლეს აღამაჰმადხანი,—და ჩვენს მეგობრობას ვერასოდეს ვერაფერი დაარღვევსო“.

ერეკლემ უარი შეუთვალა ირანის ბრძანებელს და ამ უარს ომი მოჰყვა.

1795 წელს, მაისში, აღა-მამად-ხანმა საქართველოსკენ გამოილაშქრა, თან 80-ათასი რჩეული მეომარი ჰყავდა.

სპარსეთის ჯარი ჯერ ყარაბაღის სახანოს მოადგა და შუშას ალყა შემოარტყა. ორ თვეს იდგა ჯარი ციხის გარშემო, მაგრამ ვერას გახდა. გაბრაზებულმა აღა-მაჰმად-ხანმა უბრძანა, მოწინაამდეგეთა ბანაკში გაესროლათ ისარი, რომელსაც ქაღალდის ნაჭერი ჰქონდა მიკრული შემდეგის წარწერით: „ზეციდან ქვის მტყორცნელ მანქანიდან ისვრიან ძლევა-მოსილ ქვებს და შენ კი შენი სისულელით თავს იცავ მინის (შუშის) ციხეში“. პასუხად ყარაბახის ხანმა აღა-მაჰმადხანის ბანაკში ისარი გადაისროლა ზედ-წარწერით: „თუ ის, ვინც მე მრწამს, ჩემი მფარველია, შუშასაც დაიცავს ქვებისაგან“.

აღა-მაჰმად-ხანმა შუშის ციხეს თავი დაანება და განჯითა და აღდაშით ტფილისისაკენ წამოვიდა.

ტფილისიდან შვიდის ვერსის მანძილზე, სოღანლუღის ბაღებთან, ერეკლე მეფე გამაგრებული იყო და მტერს ელოდებოდა.

ვინაიდგან ბატონიშვილებში გახეთქილება იყო, ბევრი მათგანი არ მიეშველა ერეკლეს და ამისათვის პატარა-კახმა მხოლოდ 3,000 მეომარს მოუყარა თავი. ტფილისში მოვიდა მეფე სოლომონ მეორე 2,000 მეომრით.

ენკენისთვის 9-ს სოღანლუღთან გამოჩდნენ მტრის მოწინავე რაზმები.

# ამქრის მშვენება.

**(მოთხრობა*)**

**1**

ავლაბრის მოედნიდან ქუჩა მისდევს ზევით და მთავარანგელოზის ეკლესიამდის უწევს გორაკზე.

ხელოსნის სადილობის დროს ამ ქუჩაზედ დინჯის ნაბიჯით მიდიოდა ხშირ ჭაღარა შერთული ვაჟკაცი. მარცხენა ხელში წითელი ხელსახოცი ეჭირა, ნავაჭრით სავსე. თვალებში სიამე უთამაშებდა. მარჯვენა ხელს ხანდისხან ულვაშზე გადაისვამდა და კმაყოფილებით ჩაიღიმებდა: კარგ გუნებაზედ დამდგარიყო პაატა, საამო ფიქრში იყო გართული, ფრთაჭრელი სურათები ისე ძლიერად იტაცებდნენ მას, რომ შიგადაშიგ შეუგნებლათ სიტყვებშიც კი ხორციელდებოდნენ ხმამაღლა წამოიტყოდა ვაჟკაცი, თავის თავს ეუბნებოდა:

— ხელოსანიც არის და ხელოსანიც! განა, ვისაც ტვავის ფეშტამალი აუფარებია წინ და მარწუხით რკინა დაუდვია ქურაზედ, მჭედელია?! არ იფიქრო! სიმარჯვე უნდა გქონდეს ხელში, მოზომვა უნდა შეეძლოს თვალით, რომ მკვიდრი ნივთი გამოიყვანო, შნოიანი, ნამდვილად გამოსადეგი. ჰაზრიც არის საჭირო: გონების თვალწინ ცხადად უნდა გითამაშებდეს ის ვეჯი, რის გაკეთებასაც აპირობ, ისე ნათლად, თითქო მკაფიო სიზმარში ხედავო იმის სახეს. მაშ შენ როგორა გგონია?!

რაც უფრო ზევით მიდიოდა ოსტატი, იმდენად უფრო აჩქარებდა ნაბიჯს და სახე უნათდებოდა, თან ნავაჭრს გადახედავდა, ხელსახოციდან არაფერი ამოვარდესო. ერთმანეთს ძლივს დასწვდომოდა დასანასკვად ფართო ხელსახოცის წვერები, მაინც ყველაფერი ძლივს დატეულიყო შიგ: ამოჩენილიყო წითელი ბოლოკის ფოჩები და გელაქნურის ბოლოები, რომლებიც ველარ დაეფარა შემოხვეულ ქაღალდს. ქვეშ ალბად ვალშლებიც ეწყო თუ მსხალი: მრგვალ მრგვალად მოჩანდა ქსოვილიდან.

— მუშტარიც შნოიანი უნდა იყოს, რომ გული არ გაგიტეხოს: ერთი შეხედვით უნდა იცნობდეს საქონელს, აფასებდეს კარგი ოსტატის მადლიან მარჯვენას, რომ წაახალისოს ხელოსანი. ზოგი მოვა, რიგიანად არ

*) ამ მოთხრობის 1, 2, 3, 4, 5 და 6 თავები „პრომეთე“-ს 2 და 3 ნუმრებში დაიბეჭდა.

მათ უეცრათ თავს დაეცა ბატონიშვილი დავითი თავისი ჯარით და სასტიკათ დაამარცხა.

დამარცხებამ აღა-მაჰმად-ხანი მეტად დაალონა და ამის შემდეგ ძალიან ფრთხილად იწყო მოქმედება.

ის კარგად იცნობდა მეფე ერეკლეს, როგორც გმირსა და გამოცდილ კაცს, ამისათვის ვერ გაჰბედა პირდაპირ შებმოდა. გადასწყვიტა შემოევლო შავნაბადაზე და კრწანისის ბაღებით.

სპარსელების მოსვლამ ქალაქში დიდი შიში გამოიწვია და უმეტესობა მცხოვრებთა გაიხიზნა. გაიხიზნა აგრეთვე დედოფალი დარია მთელ სახლობითა და კათოლიკოზი ანტონი.

დედოფალს თან ახლდა ალავერდ-ედიგარაშვილის ახალ-გაზრდა ცოლი. ედიგარაშვილი თათრების საუკეთესო გვარეულობის ჩამომავალი იყო. ედიგარაშვილის ცოლი თავის მხლებლებით ცხენით მიეჭრა დედოფალს და მოახსენა: მზათა ვარ თქვენ გიახლოთ და, თუ საჭირო იქნება, თქვენთანაც მოვკვდეო.

— სად არის თქვენი ქმარი, სად არის ალავერდ-ბეგი?—ჰკითხა დედოფალმა.

— იქაა, სადაც უნდა იყოს!—მიუგო ედიგარიშვილის ცოლმა,—კაცები ყველანი მეფე ერეკლესთან არიან.

ერეკლე მეფემ ერთბაშათ გაიგო, რომ მტერი მოსვლას აპირებდა, ამისათვის უბრძანა ჯარს ტფილისისაკენ დაეხია და იქ გამაგრებულიყო. იქ, სადაც დღეს მოსჩანან ციხის ნანგრევნი, აბანოების ახლოს, ძველათ მაგარი კოშკი იყო აგებული—**ნარიკალა**. კოშკი მთის ციცაბოზე იდგა და დიდ სიმაგრეს წარმოადგენდა. მის პირდაპირ, დაბახანის ხევის მარჯვენა მხარეზე, მეორე სიმაგრე იდგა—ხოშ-კალა. მათს პირდაპირ, მტკვრის მარცხენა მხარეზე კი, ტფილისის სიამაყე—მეტეხი.

ეს სამი ციხე-სიმაგრე იცავდა ტფილისს სოღანლუღის მხრით.

გარდა ამისა, ტფილისი და მისი მრავალრიცხოვანი მონასტერ-ეკლესიები დაცული იყო მაგარ-ქვიტკირის კედლით მტკვრის მარჯვენა მხრიდან. ამ ქალაქის ნაწილს **კალა**, ე. ი. ციხე ეწოდებოდა.

სამხრეთით ტფილისი გამაგრებული იყო ორმაგ ქვიტკირის კედლით. ერთი ავლაბრის ხიდის გასწვრივ იყო გავლებული და მეორე კი—წავკისის ღელეს მისდევდა.

ამ უკანასკნელ კედელს იქით მდებარეობდა უბანი,—**სეიდ-აბადი**, მის ბოლოს კი მისდევდა კრწანისის შესანიშნავი ბაღი.

მეფე ერეკლემ აღა-მაჰმად-ხანის დასახვედრათ ამნაირათ დააწყო თავისი ჯარი: ბატონიშვილმა დავითმა ოთარ ამილახვრის, ივანე მუხრანბატონიშვილის, ზაქარია ანდრონიკაშვილის და ზურაბ წერეთლის რაზმებით, სულ ათას კაცით და შვიდის ზარბაზნით, დაიჭირა კრწანისის ბაღები; ბატონიშვილმა იულონმა ათასის კაცითა და ორ ზარბაზნით დაიჭირა მოწინავე სიმაგრე ხოშ-კალა; დანარჩენი ძალა ერეკლემ სეიდაბადის უბანში დასტოვა.

---

კი გაჰსინჯავს ნივთს და წაიღებს: მერმე კი იმიურება, არ ვარგოდა, არ გამომადგაო. გასინჯე რაღა, შე დალოცვილო! ნახე, გამოსადეგია შენთვის თუ არა, მოსაწონი მოიწონე, დასაწუნი—დაიწუნე! ისეთი ნაკეთები აირჩიე, ზედ ეტყობოდეს სიკეთე გაწვრთნილ და ჰალალ მარჯვენისა!..

— დაჰხედა თუ არა ბაადურმა შემოკვეთილ სახსის-საკვეთს და გადაატრიალ-გადმოატრიალა, სიამოვნებამ გაჰკრა სახეზედ. მომეცი ხელი, მინდა ჩამოგართვა ეგ ჯადოსანი მარჯვენაო. სახნისი ხომ იყო და იყო, საკვეთი უკეთესი ჩამოიქნა: მსუბუქი, მარჯვე, მაგარი. ზოგი ტლანქს გააკეთებს, კუნძივით ჯირკვას და გაიძახის: სახნის-საკვეთი გამოვკვერეო. რა საკადრისია?!.. რაც დავაფასე, უთქმელად მომცა.ააშენოს ღმერთმა იმისი ოჯახი! მაინც ყოველთვის მადლიანი ვაჭრობა იცის ბაადურმა,—დაასკვნა პაატამ.

და გადაიგდო ყურთმაჯი მხარზედ. მაუდის კაბა ეცვა წაბლისფერ ახალუხზედ; ვერცხლის ქამარი ერტყა დასევადებული; კალმუხის ქუდი ეხურა მაღალი. მოგრძოდ დაყენებული თმა საფეთქებლებთან შეჰგრეხოდა, შეჰხუჭუჭებოდა. შავი შალის განიერი შალვარი, ყელიანი წაღები. ეს საგარეო ტანისამოსი იყო პაატასი, ქუჩაში გამოსასვლელი. თითონ სამჭედლოში ის ზამთარ-ზაფხულ პერანგა მუშაობდა, გულ გადაღეღილი, თავზედ ხელსახოც წაკრული, ჯღანებით ფეხზედ. სისხამ დილაზედ მივიდოდა დუქანში, გაიძრობდა სასუფთაო ტანთსაცმელს და ფრთხილად ჩამოჰკიდებდა ლურსმანზე. არ ეშინოდა ზამთრობით სიცივის თუ ქარისა. ავარდნილი ცეცხლი ქურაში, გავარვარებული რკინეული, ჩაქუჩის შენა განუწყვეტელი. რაღროს და საცივე იყო ან იმაზედ ფიქრი?! არც სიცხეს უფრთხოდა ზაფხულობით, მოჭახჭახე მზეს და აპრიალებულ ქურას. ნაწრთობი ოსტატი იყო, დაფოლადებული. ერთი ის კი იყო ცუდი, რომ ზამთრობით ძალიან ეშაშრებოდა ხელები, სისხლამდინ სკდებოდა კანი და შიგ მური აკვდებოდა, ძნელად საბანი. ამასაც არა უშველდა რა: იმისმა ბარბარემ რაღაცა წამალი იცოდა თხის ქონზედ მოქანებული, იმითი დაუპოხავდა ხელებს, ლაზათიანად დაუზელავდა და დაუცხრობდა.

შეუბრუნდა პაატა ქუჩას და გული გაეღო: თავის სახლის გალავანმა შემოანათა, რკინის ჰისკარით შემკულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანარჩენ სიმაგრეებს მცირე რაზმები იცავდა. გარდა ამისა, ერეკლემ ქალაქის მცხოვრებლებისაგან 1500 მოხალისე შეჰკრიბა, 300 მათგანი იულონ ბატონიშვილს მიუმატა და დანარჩენი ზურგის ჯარში დასტოვა.

გათენდა ენკენისთვის 10, დღე განწირვისა. დილის 8 საათი იქნებოდა, რომ ბატონიშვილმა დავითმა კრწანისის ბაღებთან სასტიკათ შეუტია ალა-მაჰმად-ხანის ჯარს, ჯერ ზარბაზნისა და თოფის ტყვიით შეხვდა და შემდეგ ხმალ-და-ხმალ მამაცათ ეკვეთა მტერს. მტრის მოწინავე რაზმი, სასტიკათ დამარცხებული, აქეთ-იქით გაიფანტა.

ამ დროს შავნაბადას მაღლობზე გამოჩნდა ირანის ბრძანებელი, მცველებით გარს შემორტყმული.

—„ნუ თუ ეს საწყლები ჰფიქრობენ, გზა დამიჭირონ?“ გესლიანის ღიმილით სთქვა ალა-მაჰმად-ხანმა და მოასია კრწახისს ახალი მაშველი ჯარები.

„ძმებო,—ძამოიძახა ერეკლემ,—ხედავთ შაჰს? აბა უჩვენეთ, როგორ იბრძვის ერეკლეს ჯარი!“ ამ სიტყვებს შემდეგ ათასი კაცი მიეშველა დავით ბატონიშვილს. გაიმართა ახალი ხელ-ჩართული ბრძოლა, რომელმაც მიიპყრო მთელი ყურადღება ორივ მოწინაამდეგე მეფისა. გულმოკლული უცქეროდა ირანის ბრძანებელი თავისს ჯარს. აღტაცებული იყო ერეკლე თვისთა მეომართა მამაცობით, რომელნიც მტერს თივასავით სთიბავდნენ. ვეღარ გაუძლო მეფეს ძველმა გმირულმა გულმა, სტაცა ხელი სამეფოს დროშას, რომელზედაც წმიდა გიორგ[illegible] მშობლის ხატი იყო გამოხატული, შეერია ბრძოლაში თავის 500-საუკეთესო ცხენოსნით. მთელი კრწანისის ველი სიხარულის ვაშას ძახილმა მოიცო. ახლა ყველამ ყურადღება მიაპყრო ერეკლეს. რომელიც ქარივით მიჰქროდა ცხენოსანთა წინ, ხელთ ეპყრო დროშა, რომელიც მის თეთრათ შემოსილ თავს ეფინებოდა.

ალა-მაჰმად-ხანმა სასწრაფოთ დასტოვა თავისი სათვალყურო ადგილი; ერეკლემ თვალის დახამხამებაში დაიჭირა მისი ადგილი. ეს ისეთის სისწრაფით მოხდა, რომ სპარსთა მთელი ჯარი შიშმა მოიცვა და შაჰხს უკან გაჰყვა. ქართველ ჯარის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა, მაგრამ მეფე კი მაინც თავდაჭერილი იყო.

ღამით დავით ბატონიშვილის დაქანცული ჯარი ტფილისში შემოვიდა დასასვენებლათ; მის ადგილზე ერეკლემ თავისი შვილის-შვილი იოანე გაგზავნა ჯარით. მთავარი ძალები ახლა ასე დაეწყვნენ: დავით ბატონიშვილი ჯარით დადგა ტფილისის ზემო გზაზე, რომელიც სოღოლაკისა და ტაბახმელას გზასა სჭრიდა. ეს მარჯვენა ფრთა იყო ერეკლესი. შუა-ძალას შეადგენდა ვახტანგ ბატონიშვილისა და ოთარ ამილახვრის ჯარები, რომლებიც სეიდ-აბადში იდგნენ; მის მარცხნივ დაეწყვნენ მუხრან-ბატონიშვილის და ზურაბ წერეთლის ჯარები.

ქალაქის მოხალისენი ისევ უკან იდგნენ და ხოშ-კალას მოწინავე სიმაგრეში კი იულონ ბატონიშვილი იყო.

2.

ქვითკირის გალავანიც, ალაყაფის კარებიც პაატას საკუთარი შრომით იყო გაკეთებული, ეს დასძინა მან თავის მამა-პაპეულ სახლ-კარს; ერთი ოდაც მოადგა ხომრიელი, ნათელი, ფილაქნით გაწყობილი, ეხლა მდგმური რომ უდგა შიგ, ის ოთახი. ეს ყველაფერი სასახელო იყო მისთვის, თავმოსაწონი: მამული, იკი შენც, ნელნელა შენდება, თანისთანობით. ეზოში, სათონის გვერდით, ორი უნაბი იდგა, პატრონებს ძალიან უყვარდათ ის ხეხილები, უფრთხილდებოდნენ იმისთვის კი არ მოსწონდათ ხეები, რომ რამე სარგებლობა მოჰქონდათ იმათ; რამდენიმე პინა უნაბი დიდი შესამატი არ იქნებოდა ოჯახისათვის, თუნდაც მეზობლებში არ დარიგებულიყო ნახევარზე მეტი; მაგრამ ის ხეები ბუნებას აგონებდნენ იმათ, ტყესა თუ ვენახს ანიშნებდნენ და გულს უხარებდნენ; იმათ ხელში ჯერაც არ ამომშრალიყო ბუნებისადმი ტრფობა, მემკვიდრეობით გადმოცემული სოფლელ წინაპართაგან.

- ერთი დახედე, ბაბუცი, რა გელაქნურები მოგიტანე! მითხრეს, ეს არის, ეხლა გახსნესო ხიდის ყურზედ და გულმა ვეღარ მომითმინა, ჩავედი. თითქო ცოცხლებიაო, გოგჩიდან ხელად ამოყვანილი!

ამ ხმაზედ მოტრიალდა მისკენ მისი ცოლი ბარბარე, ნიდაყვამდის დამკლავებული, გასახეხი ქვაბით ხელში; გადახედა ხელსახოცს და გაღიმებულ თვალებში კითხვა აღებეჭდა.

— ჩავაბარე ბაადურს შემოკვეთილი რკინეულობა და ფასიც მაშინვე მომცა. წაველი, ცოტაოდენი რამ ვიყიდე.

— კარგი გიქნია! მაინც ძალიან მინდოდა გელაქნური; დილას რომ დუქანში მისდიოდი, კინაღამ დაგაბარე,—უთხრა მას თავის ცოლმა.

და ლოყა მოუშვირა ქმარს საკოცნელად. ვაჟკაცმა ულვაშზედ ვადაისვა მარჯვენა და ეშხიანად დაუკოცნა მეუღლეს შეწითლებული ღაწვი.

— რაღა შენი თქმა მინდოდა, ადამიანო, ისე კი არ ვიცი შენი სურვილები?! სულში მიზიხარ და მკითხავივით შემიძლიან ამოვიკითხო შენი გულის პასუხი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათენდა ენკენისთვის 11. დილით ადრე მაღლობზე ისევ გამოჩნდა ალა-მაჰმად-ხანი, რომელმაც თვალიერება უწყო ტფილისსა და ერეკლეს ჯარს. შეატყო, ერეკლეს ჯარი მცირე ყოლიაო. აგრეთვე ისიც შეამჩნია, რომ ქალაქიდან დიდძალი მცხოვრებლები გარბოდნენი ძ ხიზნებოდნენ. ამით დაიმედებულმა ხანმა გადასწყვიტა ხელახლავ შემოეტივნა. სპარსელთა მთელი ჯარი გაიშალა და დაიჭირა სოღანლუღის, შავნაბადას, თელეთისა და კრწანისის მაღლობები. ზარბაზნებიც მოხერხებულ ადგილებზე დასდგეს. საუკეთესო ქვეითა ჯარი კი ზურგში დარჩა.

ამასთანავე, შაჰმა უბრძანა ყარაბახის მელიქს მეჟნუნსა, ცალკე ჯარით ბილიკ-ბილიკ გასულიყო და კრწახისის ქართველი ჯარი მოეჭრა ქალაქისაგან.

დილის 8—საათი იქნებოდა. სპარსელების დიდ-ძალი ჯარი გორებიდან ჩამოეშვნენ და დაეცხენ იოანე ბატონიშვილის მოწინავე ჯარს. კრწანისის ველზე სისხლის მორევი დადგა, ქართველთა მეომრების უმეტესობამ ბრძოლის ველზე თავი დასდო. ამ დროს ბატონიშვილი დავითი და ქალაქის მოხალისეთა გუნდი მათ მიეშველხენ ხომ-კალას ციხიდახ. მოხალისეთა უფროსად იყო ცნობილი სახალხო მომღერალი თავ. დავით მაჩაბელი. მაჩაბელმა აიღო ხელში ჩონგური, დაუკრა, მშვენიერ ხმაზე დაამღერა ქართული საომარი სიმღერა და მამაცურათ ეკვეთა მტერს თავის მოხალისეებით. მოხალისენი შეიჭრნენ მტერთა შუა გულში და შაჰხს თვალწინ წაართვეს რამდენიმე დროშა. გამარჯ[illegible]დან ხელში გადადიოდა.

„ჩემს დღეში არ მახსოვს, ჩემ მტერს ასეთი სიმამაცით ეომნოს“, —სთქვა ალა-მაჰმად-ხანმა და მაზანდერახის საუკეთესო მაშველი ჯარი წამოსწია წინ.

ერეკლე მეფემაც ფშავ-ხევსურები მიაშველა ვახტანგ ბატონიშვილს. ფშავ-ხევსურთ შეჰფიცეს მეფეს: ან დავიხოცებით, ან გავიმარჯვებთო.

სწორეთ ამ დროს უმუხთლა ბედმა ქართველებს; მათს უკან მოექცა მელიქ მეჟნუნის რაზმი. ქართველი ჯარი, რკალ-შემორტყმული, ძლივს შეუერთდა მეფეს.

ბრძოლა სეიდ-აბადიდან ხარ-ფუხაში გადმოვიდა. —სამჯერ უკუაქციეს ქართველებმა მტერი ქალაქის კედლებიდახ.

მეტეხის ციხიდან საშინლათ უშეხდნენ ზარბაზანს. ხომ-კალას სიმაგრე და ბატონიშვილი დავითიც თავდადებულათ იბრძოდეხ მოწიხავე პოზიციებზე.*)

აი ამ დროს გადასწყდა ბრძოლის ბედიცა.

ზურაბ წერეთლის ჯარმაც თავი ვერ ისახელა ისე, როგორც საჭირო იყო. მის მაგიერ, რომ თავდადებულათ ებრძოლნათ, სამწუხაროთ, მათ უკახ დაიხიეს და ქალაქის რბევა დაიწყეს. ამ გარემოებამ მეტათ დაალონა მოხუცი გმირი ერეკლე.

*) ამ ბრძოლის წაგებაში დიდი და გადამწყვეტი როლი ითამაშა სომეხმა ჯაშუშმა, რომლის შესახებ ცალკე გვექნება წერილი ამ სათაურით. „სომხების ღალატი ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს.“

გაეხუმრა დედაკაცს.

და განაგრძო:

— წავალ, ღვინოსაც შემოვიტან. თურმე ძალიან კარგი კახური ჩამოუტანია მარკოზას. ნიგოზი ხომ გაქვს ხირხიტოსათვის?

— არის, ბევრი გვაქვს. წითელი ღვინო გამორთვი ადრე გაგითავებია საქმე და ჩაგიბარებია, წუხელ კი ამბობდი, სადამომდის მომინდება მუშაობაო.

— ძალიან ვიმუშავეთ! ისეთი გაშმაგებით და მარჯვედ ატრიალებდა ჩვენი ვანო ი ორ ლიტრიან ხვედას, კაცს ეამებოდა. ჰაზრიანი ჯეელია და შნოიანი. სწორედ მარჯვენა ხელია ი დალოცვილის შვილი. ცოტა ამაყია, მაგრამ როგორი პატიოსანია და გამტანი! ნამდვილ დამენანება, რომ გავიდეს ჩვენი დუქნიდან.

— სხვასთან რად უნდა გადვიდეს შენთან გაზრდილი? უფრო კარგ ადილს იშოვნის ან უკეთეს ოსტატთან მივა თუ?!

— უმჯობეს ადგილს ვერ მივა, ვერც ჩემზე უკეთეს ოსტატთან, მაგრამ ის კი შეიძლება, საკუთარი სამჭე დლოს გახსნა მოინდომოს; უნარიც აქვს იმისი და შეძლებაც შესწევს: ხომ იცი, როგორი თავშენახული ბიჭია.

— ეგ კი შესაძლოა და ძალიან საზარალოც იქნება ჩვენთვის. მაგას კარგი მოფიქრება უნდა.

— ვიცი და ვფიქრობ კიდეც მაგის თაობაზედ. იმედი მაქვს, ღმერთი შენით, ისე მოვაგვარო საქმე, რომ ჩვენთვისაც სარფა იყოს და იმისთვისაც სასარგებლო. ორივესთვის სასიამოვნოდ გათავდეს ყველაფერი.

— მაინც?

— ჯერ არა ღირს ამაზედ მეტის თქმა. ყველაფერი რომ ჩაგიკენჭო, წავაგებ: ბევრი გეცოდინება, მალე დამიბერდები და მაშინ ესეთი ხალისით ველარ დავბრუნდები შინ.

— მაინც რასა ფიქრობ, კაცო? მითხარი და გაათავე!

— დამაცა, დედაკაცო. ერთი კიდევ კარგად მოვზომო! მერმე შევუმაღლოთ ჩაქუჩი და დაუშვათ მოსაჭრელად. ხომ იცი, რა კარგი ფიქრი ვიცი და სარისტაგანა ტყუილად ამომირჩიეს უსტაბაშად.

— ძალიან თავი მოგაქვს შენი უსტაბაშობით! სწორეთ იმის აქეთ არის, რომ როგორღაც ჩაჰკეტე ჩემგან შენი ფიქრების კარი, თითქო პირი იბრუნე და განზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვეობას ან ბრძოლის წაგებას მეფემ სიკვდილი არჩია.

თავგანწირული ამოღებულის ხმლით შევარდა მტრის მრავალრიცხოვან გუნდში და დაიწყო მარჯვნივ და მარცხნივ კაფვა. მეფე ერეკლე უსათუოდ დაიღუპებოდა, ბატონიშვილ იოანეს რომ არ გადაერჩინა.

იოანე სამას ცხენოსან კაცით ეკვეთა მტერს და ძვირფასი გმირი სიკვდილისაგან დაიხსნა. მეფე ძალით გამოიყვანა ავლაბრის ხიდზე.

სპარსელებმა ქალაქის სიმაგრე გაარღვიეს და შიგ შემოვიდნენ.

საღამოს 5—საათზე ერეკლემაც ტფილისი დასტოვა.

ხომ-კალას სიმაგრემაც დასცალა ციხე, მხოლოთ ზარბაზნები გააფუჭეს და წავკისის ღელეში გადაყარეს.

ბატონიშვილი დავითი დაბინდებამდის იბრძოდა. რომ გაიგო, ერეკლემ უკან დაიხიაო, ზარბაზნები გააფუჭა და პოზიცია დასცალა.

მეორე დღეს, ენკენისთვის 12-ს, აღა-მაჰმადხანი დიდის ამბით შემოვიდა ქალაქში და ყველაფერი გაიოხრა და ცეცხლის ალში გახვია. ეს უკანასკნელი უბედურებაა, ქალაქს რომ ახსოვს. ამ უბედურობის უტყვნი მოწმენი, ტფილისის ციხე-სიმაგრენი, ამაყურად გადმოსცქერიან დღეს ქალაქს, მოუთხრობენ განვლილ ტანჯვის დღეთა ისტორიას და ღიმილით მიუთითებენ მომავალ ბრწყინვალე და იმედით სავსე დღეებისაკენ.

ავქ. აბესაძე.

# ეკონომიურნი ხელშეკრულებანი

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ერთობ უხერხულ პირობებში მოხდა. ერთის მხრით, სრულებით მოულოდნელათ შეწყდა ის პოლიტიკური და ეკონომიური ძაფები, 117 წლის განმავლობაში რუსეთთან რომ გვაერთებდა; ამასთანავე სასტიკ თავდასხმას აწარმოებდნენ ჩვენის დამოუკიდებლობის წინაამდეგ რუსების ბოლშევიკები. ამ დროს ჩვენი მეზობლებიც ჩამოგვშორდნენ და მტრული განწყობილება დაიკავეს ჩვენთან. და ამ უბედურობის დროს ოსმალეთი საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა და ლამობდა ჩვენს განადგურებას. შიგნითაც საშინელი არევ-დარევა სუფევდა. საფრთხე ისე დიდი იყო ყოველის მხრით, რომ ჩვენი გადარჩენა საეჭვო შეიქნა. საქართველო იმ დროს იმ კაცსა ჰგავდა, რომელსაც ყოველ მხრიდან უბედურება დაატყდა თავს და ემმაკსაც კი მიყიდდა სულს, ოღონდ ვისმე გადაერჩინა.

ასეთს პირობებში ჩვენ, რასაკვირველია, იძულებულნი ვიყავით ხელი გაგვეწოდებინა უცხოსათვის, ვინც კი რასმე დახმარებას აღმოგვიჩენდა და გადაგვარჩენდა განადგურებისაგან. და ასეთ დამხმარედ კი იმ დროს გერმანეთი აღმოჩნდა, რომელმაც თავის დავალება პირნათლათ შეასრულა, რაც არაერთხელ იყო აღნიშნული ჩვენის მთავრობისა და საზოგადოების მიერ.

ჩვენ ვიცით, რომ გერმანეთი ტყუილად არ იტვირთებდა ჩვენს დახმარებას და აუცილებლად რაიმე სასყიდელს მოითხოვდა, რაც უკვე გამოისახა ჩვენსა და გერმანეთს შორის დადებულ ეკონომიურ ხელშეკრულებაში. ეს ხელშეკრულება ჯერ გამოქვეყნებული არ არის, მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ რაოდენიმედ მაინც იცის მისი შინაარსი, და თუ დღემდის არ არის სურვილი დადებულ ხელშეკრულების შესახებ სჯა-ბაასისა, ეს

გასდექი.

— პირი ვიბრუნე შენგან? განზედ გავდექი?! არ იფიქრო! მაგისთანა ჰაზრები თავში არ მოგივიდეს: ჯერ კიდევ ღმერთია მოწყალე.

— სწორედ აყრილი გაქვს გული და აცრუებული! მაშ რა არის, რომ რაღაცასა ჰფიქრობ ოჯახის თაობაზედ, მე კი არ ვიცი? ვნახოთ ვინ უფრო ინანებს, შენ, თუ მე.

— უჰ, რა მწარე ენა გაქვს ხანდისხან! უშნოდ მოქნეული ჩაქუჩივით მომხვდა რაღა გულში შენი სიტყვა.

— აკი გითხარი! შენ ეხლა ყველაფერი უშნოდ გეჩვენება, ჩემი ნათქვამიც, ჩემი ნაკეთებიც. იქნება თითონ მეც უშნო ვარ შენს თვალში, უსტაბაშის ცოლობას ულირსი?!

— კარგი გენაცვალე, შევრიგდეთ. აი მოვალ ბაზრიდან და ყველაფერს გეტყვი, მოშლილ წისქვილივით დავროშავ, რაც მომიფიქრია,—მიუგო ქმარმა.

და წაეტანა დედაკაცს მოსახვევნად. ბარბარემ იდაყვი აიფარა პირზედ, ადგილიდან კი არ დაიძრა ქმრის ალერსით ნასიამოვნები:

— სად არის, ქალო, ჩვენი ანიკო?

— მკერვლიაანთა გადაიარა, რაღაცა საქსოვი უნდა მასწავლოსო იმათმა დარიკომ.

3

— ვისგან არის დასაწუნი ვანუა ან რადა?! მჭედელიაო უბრალო, მერე რა ურიგო ხელობაა ეს? მჭედელი რომ ვარ, კარგად არ ვცხოვრობ, ცოლშვილს პატიოსნად ვერ ვინახავ? მე თუ მკითხავ, ხელოსანი მირჩევნია ვიღაც ჩარჩ ვაჭარს: ჰალალ ლუკმასა სჭამს, არავის არ ატყუებს არც ზომაში, არც წონაში: თავის ჯანსა ღრჯის და იმით ცხოვრობს. რა უყოთ, რომ არა მდიდრდება! ხომ არცა კოტრდება ვაჭარივით და საპყარი არა ხდება, საცოდავი. მე მოხელესაც ისევ ხელოსანი მირჩევნია, მდაბალ სამსახურის მქონე მოხელეს: იმისი ჯამაგირი მწვადივით იქმევა და მერმე ყველას ხელში შესცქერის, ეგებ ქრთამად გამომიწოდოს ცოტა რამეო. არა, ბაბუციჯან, ანიკოს შესახებ ჩემი ჰაზრი სჯობია შენ ნათქვამს, მერწმუნე, სჯობია!—წარიტყოდა პაატა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აიხსნება არა მხოლოდ პოლიტიკურ მოსაზრებით, არამედ იმ უვიცობითაც, რომელიც თან სდევს ჩვენს საზოგადოებას ეკონომიურ კითხვების შესახებ.

როგორც დადებულ ხელშეკრულებიდანა სჩანს, გერმანეთმა ისარგებლა ჩვენის უბადრუკ მდგომარეობით და მიიღო ბევრათ იმაზედ მეტი, რაც შესაძლებელი იყო კეთილსინდისიერების თვალსაზრისით. ასე რომ დღეს საქართველოს უმთავრესნი სიმდიდრენი გერმანეთის ხელშია და ზოგი ეს სიმდიდრე ისეთი ხასიათისაა და მათი ზედგავლენა ისე დიდი იქნება სიმდიდრის სხვის ხელში გადაჯგუფებაზედ და ეკონომიურ პოლიტიკაზედ, რომ წინდაწინვე შეიძლება ითქვას: ქართველი ხალხი იქნება მარტო სხვისი მუშა, და ნამდვილი ჩვენი სიმდიდრე ჩვენისავე შრომით ქართველ ხალხს გაექცევა შორს, ზღვის გაღმა.

ყველამ კარგად იცის, და ჩვენში მით უმეტეს, რომ ეკონომიური აღორძინება არის საფუძველი პოლიტიკურ და კულტურულ აღორძინებისა, და თუ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება სხვის ხელში იქნება, მაშინ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური განვითარება ყოვლად შეუძლებელი გახდება. და ეს ასე რომ არ მოხდეს, ჩვენის მთავრობისა და საზოგადოების ვალია მორიგ წესრიგში დასვას გადასინჯვა იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დაიდვა ჩვენსა და გერმანეთს შორის.

წინ, რასაკვირველია, არც შინაური და არც გარეშე პოლიტიკური მდგომარეობა ამას ხელს არ უწყობდა, მაგრამ ეხლა, როდესაც ეს ხელშემშლელი პირობები აღარ არსებობს, ეს კითხვა თავის სიგრძე-სიგანით უნდა დაისვას და აუცილებლათ ჩვენდა სასარგებლოთ გადაწყდეს, თორემ ყოვლად შეუძლებელია, რომ მთელის საქართველოს სიმდიდრე სხვის ხელში ჩავყაროთ იმიტომ, რომ გასაჭირ დროს დაგვეხმარნენ და სესხადაც რაღაც 7—8 მილიონი მანეთი მოგვცეს.

პატივისცემა და ვალის გადახდა კარგი ღირსება არის, მაგრამ არა გვგონია, კარგ ღირსების დაბეგვრისათვის, თუ რამე გვაბადია, სხვას გაჩუქოთ და უმებად დავუდგეთ, მით უმეტეს, ჩვენის მეგობრების დახმარება არც ისე უანგარო ყოფილა, როგორც ეს ჩვენს დედა-ქალაქში ბევრსა ჰგონია.

დროა ამ კითხვას სერიოზული ყურადღება მიექცეს.

არტილერისტი.

# რა გზით უნდა ვიხსნათ თავი ფინანსიურ გასაჭირისაგან.

(წერილი მეორე)

**50 მილიონიანი სესხი ვერ გაუძლვება ჩვენს საჭიროებას. რა ფინანსიური ოპერაციები უნდა მოჰყვეს გარეშე სესხს. ტრაგიზმი ჩვენი მდგომარეობისა. რას მივყავართ ფინანსიურ კატასტროფისაკენ: უფულობას, თუ ფულის მოზღვავებას? ფული, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელი ძალა, ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. მიზეზები: სოფლის მუშა, ვაჭარი, კაპიტალისტი. აგრარული რეფორმის ზოგიერთი უარყოფითი მხარე.**

ჩვენს მმართველ წრეებში, შეიძლება, დიდ იმედებს ამყარებდენ გარეშე სესხზედ. მე ვერ გავიზიარებ ამ იმედებს და არც მომხრე ვარ ასეთის სესხისა, სანამ სავსებით არ ამოიწურება ყოველი საშუალება, რომ საკუთარ ძალ-ღონით მოვაწესრიგოთ ჩვენი ცხოვრება. არა ვარ მომხრე გარეშე სესხისა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისეთი სუსტი სახელმწიფოსათვის, როგორიც საქართველოა, გარეშე სესხს ძალიან ხშირად მოჰყვება ხოლმე უცხო სახელმწიფოს „ოპეკა“, კანტროლი და შინაურ საქმეებში ჩარევა, რაიცა

---

გზაგზა.

რაც უფრო უახლოვდება მარკოზას დუქანს, იმდენი უფრო უმშვიდდებოდა სახე: იმისი ფიქრი თანდათან ირკვეოდა და დასკვნაც მისი მტკიცედ დგებოდა, არ ირყეოდა. წინადაც ფიქრობდა პაატა ამ საზრუნველზედ. მაგრამ მაშინ ამ საგანს ისეთი მწვავე ხასიათი არა ჰქონდა იმისათვის, როგორც მიიღო აქ ბოლო დროს, არც თუ საჩქაროდ მოსჩანდა იგი მის თვალში. ეხლა სხვა იყო: ბოლო დროს ვანო, იმისი საყვარელი და საიმედო შეგირდი ვანო, როგორღაც დაღვრემილი დადიოდა, გულჩათხრობილი. ის ისევ ერთგულად ასრულებდა ოსტატის ყველა ბრძანებას, დუქანში წინანდებურად მხნედ მუშაობდა და წაღმართად, შინაც უთქმელადვე ხელს აშველებდა მას. მაგრამ პირზე ღიმი აღარ მოსდიოდა, ძირს იყურებოდა, გულახდილად აღარ შეჰხედავდა ოსტატს, ხალისით სავსე თვალებით. აღარ ოხუნჯობდა დუქანში, თითქო აღარ ეხერხებოდა მახვილი სიტყვის თქმა. წინად კი იცოდა ვანომ ფრთიანი სიტყვა, ეშხიანად მოუდიოდა ამგვარი სათქმელი და ბევრჯელ მთელ დუქანს გადაახარხარებდა დაჟინებული მუშაობის დროს. ამისათვისაც უყვარდათ ვანო დუქანში, იმ პატარა ბიჭებსაც კი ძალიან მოსწონდათ, ჯერ ჩაქუჩის ხელში აღება რომ ვერ მოეხერხებინათ და ამ დღე ფუქსსა თუ ნახშირს დასტრიალებდნენ, ჩარხს ატრიალებდნენ ან სხვანაირად მორბედობდნენ და შაგირდანათი გამოდიოდნენ. მეტადრე დღეს გააკვირვა ვანომ ოსტატი და ჩააფიქრა: ბაზრიდან რომ ნავაჭრი მოიტანა, უნდოდა იმისთვის გამოეტანებინა შინ, რადგან პატარებს ვერ ანდობდა სავსე ხელსახოცს.

— ვანო, აბა, თუ ღმერთი გწამს, ეს გადაიტანე შინ და ჩემ მაგივრად უთხარ ბაბალეს კარგად მოამზადოს ყველაფერი, თავისებურად: ახედ-დახედე კიდეც, სხვა ხომ არაფერი უნდათ.

ამისთანა დასაქმება წინად საამო იყო ვანოსათვის და სახალისო. მაშინვე დასდებდა კვერს, ხელებს მაგრა გადიბანდა, გადაიცვამდა მჭიდროდ ნაოჭ ასხმულ ჩოხაახალუხს, აივარცხნიდა მერცხლის ბოლოსავით შავ წვერს და გასწევდა ოსტატის სახლისაკენ მარდის ნაბიჯით: მიუხაროდა პირმოღიმე ახალგაზდას იმ ოჯახში. შემდეგში თითქო იკლო მასში ამისთანა ხალისიანობამაო, ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასურველი არ არის; მეორე კიდე იმიტომ, რომ სესხებამ მიჩვევა იცის, რასაც, საბოლოოთ, სახელმწიფო ეკონომიურ დამონავებისაკენ მიჰყავს. ამას გარდა, 50 მილიონის სესხი, მთავრობას რომ აქვს განზრახული მოიპოვოს გერმანეთში, პირს ვერ მოსწმენდს დღევანდელ ჩვენს წრე-გადასულ ხარჯებს. მარტო რკინის გზის დეფიციტის დაფარვას (ერთის გაზეთის ცნობით) ყოველ თვე ექვს მილიონზედ მეტი სჭირია; ამას რომ სხვა ხარჯებიც გავურიოთ, ეს ნასესხი ფული ერთ თვესაც არ გაგვყვება. შემდეგში საიდგან რა ვილონოთ?

მე არ ვიცი, რა განზრახვა აქვს ჩვენს ფინანსების მინისტრს; მე ასე მაქვს გათვალისწინებული, რომ თუ გარეშე სესხს მივმართეთ, უთუოდ დაგვჭირდება აგრეთვე საკუთარ სისტემის ქართული ფულის გამოშვება და არა ამ გარეშე სესხის თახხის თახაბარი ღირებულობისა, არამედ გაცილებით მეტის, შეიძლება ექვსას მილიონის მახეთის, ესე იგი, იმ თახხის თახაბარი, რომელიც ბონებისა და რუსულ ფულის სახით ტრიალებს საქართველოს საზღვრებში და, შეიძლება, მის გარეშეც. თუ კი ამას არ ვიზამთ და ქართულ ფულის თახაბრათ სახმარებლათ დარჩება ბონებიც და რუსული ფულიც, ამ შემთხვევაში ეს გარემოება, იმის გარდა რომ გამოიწვევს არევ-დარევის ფულის ნიშნების ხმარებაში, უეჭველათ ერთნაირ მიდრეკილებას დაჰბადებს ერთ-ერთ არსებულ ფულის ნიშნებისადმი, რაც ხელს შეუწყობს ფულების სპეკულიაციას და ხალხის უკმაყოფილებას, რომელსაც საშუ[illegible] მნება გაანადღოს ათვალისწუნებული ფულის ნიშნები. თუ ამას არ მოვინდომებთ, ჩვენ უნდა გამოვცეთ 500—600 მილიონის ქართული ქაღალდის ფული იმ 50 მილიონის მარკის გარანტიით, რომელსაც სესხად მოგვცემს გერმანეთი. მართალია, ამ ფულის გარანტიად გამოდგება აგრეთვე ის ბონები და რუსული ფული, რომელიც გადაიცვლება ქართულ ფულზედ და ქართულ ხაზინაში იქმნება დაგროვილი, მაგრამ ამ გარანტიას უცხოელ კაპიტალისტების თვალში იგივე ფასი ექნება, რა ღირებულებასაც მისცემს იგი ამიერ-კავკასიის ბონებს და რუსულ ფულს.

ამნაირად, ვიმეორებ, სესხის აღებისთანავე, ჩვენი მთარობა იძულებული იქნება გამოუშვას, სულ ცოტა, 600 მილიონ მახეთად შეფასებული ქართულ ფულის ნიშნები, რომლის დანიშნულება იქმნება, ერთის მხრივ, დღეს ხმარებაში მიღებული ფულის გადაცვლა და მეორეს მხრივ მიმდინარე ხარჯების დაფარვა; და რადგან, (როგორც ზევითა ვსთქვი), ამ მიმდინარე ხარჯების დასაფარავათ ნასესხი ფული (50 მილ. მარკა) ერთ თვესაც არ გვეყოფა, იძულებული ვიქმნებით, ან ისევ ახალ სესხს მივმართოთ, ან, რაც უფრო ადვილი იქმნება, ისევ ფულის საბეჭდავ მანქანას დავუბრუნდეთ, მაშინ ხომ ხელის შემშლელი არავინ გვეყოლება.

ტრაგიზმი ჩვენის აწინდელ მდგომარეობისა სწორედ ეს გახლავსთ: ერთის მხრით, ყველა ხედავს, რომ ფული საჭიროა, რომ უამისოთ სახე-

---

აღარ ისწრაფოდა ამაგდარ ოჯახისაკენ. აღარც ხშირად ინახულებდა. დღეს კი თავისი თქმით თუ ქცევით მთლადაც გაამტერა თავისი ამზრდელ-გამწვრთნელი პაატა.

— არ წავალ! რა გავაკეთო იქ? აგერ ტილუა გაგზავნე! — შეუბრუნა სიტყვა ოსტატს.

და ისეთი ძალით დაუშვა შემაღლებული ხვედა, რომ ძრ გოჯიანი რკინა სულ ნაპერწკლებად დასცალა და კვევით დაჭყლიტა გრდემლის პირამდის. შესდგა ერთ წამს ოსტატი, დააკვირდა ვაჟკაცს და განსჭვრიტა მთელი სიღრმე მისი გულის კვეთებისა; ისე ცხადად დაინახა მთელი მოძრაობა მისი აღელვებულ სულისა, როგორც მკითხავმა ყველაფრის მაჩვენებელ ჯადო-სარკეში ენიშნა გამოცდილს და დაფიქრებულს, მთლად მიჰხვდა. ოდესმე თითონაცა ჰქონდა ისეთი წუთები განცდილი. ხელმეორედ გადაუქროლა ჭაღარას უკვე მინელებულ მიყუჩებულ გულზედ იმ უცხო ფრინველმა იშვიათმა, ერთხელ რომ ალმასის ფრთა შეახო იმის გულს და გაბალთა უწყალოდ. დაენანა გულგაკმირული ჯეელი. სიამაყეც იგრძნო, რომ ის ძალუმად მიმზიდველი ანდამატი მის ოჯახში ამოჩენილიყო, მის საკუთარ კერაზედ; თითონ მისი სისხლ-ხორცი შექმნილიყო ამ ფთლადივით ვაჟკაცის მხიბლავ ჯადოქრად. თანაკ დაენანა ბიჭი, როცა წარმოიდგინა, რა ცეცხლში უნდა გაევლო მას, მანამ მიაღწევდა თავის საწადელს, თუ კი მიაღწევდა როდისმე, და სცადა ნუგეშისცემა:

— გამიგონე, ვანო! ხომ გახსოვს ის ზღაპარი, მზეჭაბუკი რომ ჩაუშვეს ქვესკნელს? ცეცხლი უნდა გაეარნა, მანამ მიღწევდა იმ ადგილს, სადაც დევს დაეჭირნა წყალი-ცხოველი. რამდენიც უნდა დავიძახო: ვიწვი, ამომიყვანეთ! მაინც არ ამომწიოთ, უფრო ჩამიშვითო, დაავედრა ზევითებს. აკი ვაჟკაცურად გაიარა კიდეც ალი დამწველი და მოისპო ის დევი უზარმაზარი.

— მახსოვს! მერე?

— მერმე ისა, რომ ყოჩაღათ იყავ მეთქი! ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო, გამიგონია ცხონებულ დედიჩემისაგან, — დააბოლავა პაატამ.

და გასამხნევებლად ხელი წამოსდო ახალგაზდას გაოფლიანებულ კისერზე. ოსტატმა იცოდა თავის შეგირდის დარდები, ამისთვის ეუბნებოდა ესე.

— რა აქვს ვანოს ჩვენგან დასაწუნი? სრულებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმწიფო ვერ იარსებებს, და მეორეს მხრით, აშკარათ ვხედავთ, რომ ფულის მანქანების ასეთს დაუსრულებელ მუშაობას ისეთ კატასტროფისაკენ მივყევართ, რომ სახელმწიფოს არსებობა განსაცდელში ვარდება. ამიტომ ზოგიერთების აზრით, იქმნება ჯერ კიდევ დაგვიანებული არ იყოს, კითხვა დაისვას – რას მივყევართ კატასტროფისაკენ: უფულობას, თუ ქაღალდის ფულის მოზღვავებას?

ფული თავის დანიშნულებით საზოგადოებრივ ცხოვრების ასამოძრავებელი ძალაა; მას იგივე მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორადაც სისხლის დენას ორგანიზმის ძარღვებში. თუ ფული არ მოძრაობს, საზოგადოებრივი ცხოვრება ჩლუნგდება, სიდამბლეს განიცდის და რაკი თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს, ფულს ფასი ეკარქება, ღირებულება მისი ეცემა, საზოგადოებრივი ცხოვრება ირღვევა, რაც, ბოლოს და ბოლოს, საზოგადოების მკაცრ პროტესტით თავდება.

სწორედ ამ გარემოებას უნდა მივაქციოთ უმთავრესათ ჩვენი ყურადღება. ვერავითარი გარეშე სესხი, რაც უნდ დიდი თანხა ვისესხოთ, ვერ გამოასწორებს ჩვენს ფინანსიურ მდგომარეობას, ვერ აგვაცილებს თავიდგან კატასტროფას, თუ რომ არ გამოვძებნეთ საშუალებანი და რადიკალური ზომები არ მივიღეთ, რათა შეგუბებულ, მოზღვავებულ ფულს სამოძრავო გზა გავუხსნათ.

ვის ხელში და რა მიზეზით არის შეჩერებული ამოდენა ფული? ყველა მცოდნე [illegible]რით, ფული უმთავრესათ სოფლად არის გაჩერებული. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მთავარი და, შეიძლება ითქვას, ეგ ერთად-ერთი მწარმოებელი კლასი დღეს სოფლის მუშაა. ყველა იმას ეტანება, ჩარჩები თუ ვაჭრები ბუზებივით თავს დასტრიალებენ და ერთმანერთის შეჯიბრებით სწევენ და სწევენ მის ჭინახულის ფასებს. ფუთი ფქვილი 20 თუმნათ იყიდება; ზღაპრადაც არ გაგონილა ასეთი ფასი. ოცი თუმანი! ეს ხომ წინად მთელი სიმდიდრე იყო გლეხისათვის; მოდი და, სული ნუ წასძლევს და დასტა-დასტა ჩაწყობილ ათ-თუმნიანებს ორიოდე ათ თუმნიანს კიდე ნუ მიუმატებს! მაგრამ რაში გამოიყენოს ეს დასტა-დასტა ჩაწყობილი ქაღალდის ფული? მიწა, ეს მუდამ ჟამს მისი სანატრელი შავი მიწა, რაც იყო და არ იყო, ხალხმა დაირიგა, მისთვის სასყიდელი აღარ არის. წინად ფული სჭიროდა იმიტომ, რომ ათასი გადასახადი აწუხებდა! ეს ბატონის იჯახიო, ეს სახელმწიფო გადასახადიო, ეს სკოლის ფულიო, ეს საავადმყოფოსიო და ვინ მოსთვლის კიდე, რამდენი სხვა; ეხლა არავითარ გადასახადებს მას არა სთხოვენ. მაშ რაში მოიხმაროს მან ფული? არსებითი საჭიროებანი-პურიც და სიმინდიც, ღვთის მადლით, წლის სარჩო გადადებული აქვს; რძე, მაწონი, ერბო, ყველი, ქათამი და კვერცხი, უწინ რომ თავის სახმარებლად ვერ იმეტებდა, ეხლა რა ძალა ადგია, რომ გაყიდოს; წვრილფეხი და სხვილ ფეხისაქონელიც მიემატა, ზოგი კეთილშეძენილი, ზოგიც

---

არაფერი! ვერც დაიწუნებს, საბოლოვო უარს ვერ ეტყვის: მოუფიქრებლობა იქნება კარზედ მომდგარი ბედის ხელის კვრა და უარყოფა. როგორ შეიძლება თვალის არიდება ან ტუჩის აკვრა?! ეჰ, ალბად მხოლოდ ინაზება ანიკო, მოსაჩვენებლადა დგება უკან; იქნება განზრახაც არ უჩვენებს პირს, დეე სურვილი უფრო გაუცხოველდესო. ქალისას ხომ ვერას გაიგებს ადამიანი. ვგონებ, გულის სიღრმეში თითონაც დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ერთმანეთისათვის არიან ღვთისაგან დაბადებულნი, —აიმედებდა პაატა თავის თავს.

მაგრამ ეს ჩემი ბაბალე რაღამ ასტეხა, რომ სულ იმას ჩასჩიჩინებს თავის ქალს, უფრო კარგი ცხოვრების ღირსი ხარ, ფაქიზისაო; სკოლაშიაც იმისთვის მიგეცი და წიგნიც გასწავლეო. სწორედ ისა ჰრევს გოგოს. რა ეჩქარება: ქალი იჯდეს, ბედს ელოდდესო. არა, ქალი იჯდეს, ბერდებოდეს მეთქი, მაგრამ ვის გააგონებ?! ის თავისას გაიძახის, მაკრატელიაო. იჯდეს! ვნახოთ, რომელი ბატონიშვილი მოუვა და შეეხვეწება, ახლა ის ვიღაც მირონა აიკვიატეს. არ ვიცი, ღმერთმანი, რა ვიფიქრო არ მომწონს: ერთმანეთის საფერები არა ვართ; გული როგორღაც არ ენდობა. არა, მე ჩემი სიტყვა უნდა ვსთქვა და ჩემი ნება გავიყვანო!—დაასკვნა პაატამ.

და წელში გაიმართა, რიხიანი შეხედულება მიიღო.

4.

— ჰა, ჰა, ჰა! ჩაიცინა ბარბარემ, როდესაც პაატა გასცდა ეზოს. რა გულუბრყვილონი არიან ეს ვაჟკაცები! ჰგონია, რაღაცას ახალს მეტყვის ისეთს, რაც მე ჯერ არ ვიცი. დიდი ხანია მივხვდი, რაცა ჰნებავს ვაჟბატონს, კიდეც უთქვამს ნაყიშნაყიშად თავისი გულისთქმა და ვერ მიმხვდარა, რომ მე ერთიანად შეგროვილი მაქვს სხვა და სხვა დროს მისგან გადმოგდებული სიტყვები. მაგრამ ნუ იფიქრებ, ჩემო კარგო, გულშიაც ნუ გაივლებ მაგების ასრულებას! იმისათვის არ გამომიზრდია ესე სათუთად ჩემი ანიკო, არც იმისთვის დამიჩაგვრინებია ის სკოლაში, რომ პირველსავე მთხოვნელს მიუგდო, თუნდაც პირდაღრენილი მგელი იყოს ის პირველი მთხოვნელი. სახნის. საკვეთის კარგი ჩამოსხმა გეხერხება, აყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე... გახიზნულმა მემამულეებმა რომ დასტოვეს უპატრონოთ; დარჩა ჩაცმა-დახურვა, მაგრამ ბევრიც რომ გინდოდეს, ერთ არშინ მიტკალს იშოვნი განა სადმე.—დუქნები, დიდი ხანია დაიკეტა. ოხრათ დარჩეს მაშინ ფული, თუ მითი ვერას შეიძენ! ამიტომაც დაეცა ფულის ფასი; ვისაც არა მგონია, ჯიბე გატენილი აქვს ფულითა; ნეტა თუ სად პოულობენ! ნაპოვნი თუ არაა, ვინ ოხერი მისცემს ოცს თუმანს ერთ ფუთ ფქვილში. ვაი, დაკარგულო ნაჭირნახულევო, რომ ამ ქაღალდებში გაგცვალე! ეს ხომ ასეა, მაგრამ სოფლის მუშა გულს იმშვიდებს—არ შეიძლება, რომ ასეთი ყოფა გაგრძელდეს.—მოვა დრო, ფულს ისევ თავის ფასი დაედება და მაშინ....

(შემდეგი იქნება)

# ოფიცერთა საკითხი ჩვენს ჯარში

## 1—შესავალი

ჩვენ განვიზრახეთ გამოვაქვეყნოთ ის სტატიები, რომელნიც შეეხებიან „ოფიცერთა საკითხს ჩვენს ჯარში“. ამიტომ ჩვენს თავს მოვალედ ვრაცხთ გადმოვცეთ მკითხველს სწორი სურათი ამ საკითხისა. ამაზე ჩვენ ბევრი გვიფიქრია და ვიფიქრეთ ამ უკანასკნელ დროს, როდესაც პირდაპირი კავშირი გვქონდა ჯარის ნაწილებთან, საზოგადოთ როგორც შტაბის დივიზიის უფროსს, და კერძოთ კი, როგორც კავკასიის მსროლელთა პოლკის უფროსს. მთელი ჩვენი არსება და გონება მიმართული იყო ამ საკითხისაკენ არამც თუ გამარჯვების და დამარცხების დროს, არამედ მაშინაც კი, როდესაც ჩვენ ვისხედით გამაგრებულ პოზიციებზე; ამასთანავე ჩვენი დაახლოებული კავშირი და მუშაობა როგორც ოფიცერთა შემადგენლობასთან, აგრეთვე ჯარის უფროსებთან, გვაგდებდა დიდს საგონებელში, და, როგორც შედეგი ამ საგონებლისა, მივდიოდით ამ საკითხის სწორე დასმისათვის გადაწყვეტილ დასკვნამდე; და ასეთსავე დასკვნამდე მიდიოდა ამ სტატიის ავტორი, როცა იგი იყო სამხედრო სასწავლებლების მასწავლებლად.

ჩვენ არ შევჩერდებით მარტოოდენ დაკვირვებაზე წარსულ ცხოვრებიდან, არამედ ამ საკითხის დახასიათებისათვის მივიღებთ მხედველობაში, როგორც პოლიტიკურ მოწყობას ჩვენის ქვეყნისას, აგრეთვე იმ მდგომარეობას, როგორშიაც იმყოფება ჩვენი პატარა სამშობლო, არასაიმედო მეზობლებით გარშემორტყმული.

კანონიერებაში ჩამოგვერთმევოდა გვეთქვა—უცოდველნი ვართ და ჩვენი დასკვნებიც უცვლელი სწორიაო. წინასწარ მადლობას ვუძღვნით იმ მკითხველებს, რომელნიც დაინახავენ საჭიროთ უფრო კარგათ და ნათლად გააშუქონ ეს საკითხი და ყველას მისცენ საშუალება სწორე აზრი შეადგინონ ოფიცერთა საკითხის შესახებ, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტაზე, ჩვენის აზრით, დამოკიდებულია არა მარტო ჩვენის პატარა ჯარის დანიშნულება, არამედ ჩვენის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის არსებობაც კი.

—

ჯერ ისევ ევროპისა და აზიის მინდვრებზე გაისმოდა უზარმაზარ ზარბაზნების ქუხილი და ორივე მოქიშპე მხარე ხმარობდა უკანასკნელ ძალ-ღონეს, რათა თავისი მოწინააღმდეგე განადგურებინა და მიწასთან გაესწორებინა მისი ჯარი; ჯერ ისევ ორივე მოწინააღმდეგე მხარე იგონებდა ახალ საწინააღმდეგო სახსარს მტრის მოსასპობად, მაგრამ ამავე დროს ყველა თანამედროვე ქვეყნის პრესაში ერთხმათ გაიძახოდნენ:

---

ლიზე! გელაქნურის არჩევაც საგანგებოდ იცი, მოიტა! სხვა ყველაფერი ჩემზედ მოაგდე. ოჯახის ტრიალი და წალმა ბრუნვა; მეტადრე ესეთი საფრთხილო საქმე, როგორიც არის ქალის ბედ-იღბალი. პირდაპირ ჩვენი მოვალეობა არის ეს, მანდილოსნების საზრუნველი,—ამბობდა დედაკაცი.

და თან-თან თევზსა სჭრიდა, რეცხავდა, მოსახარშად ამზადებდა. ცალი თვალი მაინც ქვაბისაკენა ჰქონდა, რომელიც დუღდა ბუხარში და ქოჩქოჩებდა. მორბედი არავინა ჰყვანდა გვერდით, მაგრამ მაინც ყველაფერს მარდათ აკეთებდა და ასწრობდა. გაიღო ოთახის კარი და შემოვიდა ქალწული მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჭრიალით. ხელში ფარჩის ნაჭერი ეჭირა, სათითე ჰქონდა თითებზე წამოცმული. აგებული ნემსი ებნია გულის-პირში, აბრეშუმის მოწითალო ძაფი ფოლაქს მოსდევდა.

— რას აკეთებ, დედილო?

— აი, გენაცვალე, გელაქურსა ვრეცხავ, დახე რა მშვენიერია.

— ვანო რაღა იქნა?

— არ მოსულა დუქნიდან, მამა შენმა მოიტანა ყველა ეს.

— თითონ მამამ!! სადილად მაინც არ მოვა ვანო?

— არ ვიცი. რად გინდა, გენაცვალე?

— დარიკომ საკერავი მანქანა მათხოვა და მინდოდა გადმამეტანინებინა. საღამომდის სულ მოვრჩებოდი ამის კერვას.

— მოეწონათ ფარჩა?

— მოეწონათ. მითხრეს, ძალიან დაგშვენდებაო.

— რატომ არ უნდა დაგშვენდეს ლამაზს კარგი ქსოვილი?! მანქანას მე თითონ გადმოგიტან ეხლავე; ხომ აგერ აქვე არის,—მიუგო დედამ.

და ხელები შეიმშრალა.

— აი მივდივარ, ქვაბებს ყური უგდე.

ქალმა გაიხადა ჯუბაჩა და ლურსმანზე მიჰკიდა, ჩაიცვა საშინაო კაბა; წაიძრო წუღები და ტახტ ქვეშ შეაწყო, ფეხი აზრუმულ ჩუსტში ჩაყო; ჩამოუშვა ტახტის ფარდა, მიალაგ-მოალაგა იქაურობა. სხარტი ტანი ჰქონდა, შოლტივით მოქნილი და დახრა თუ მიდგომ-მოდგომა ემარჯვებოდა, კიდეც უხდებოდა. ავიდა ტახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუღარ იქნება ომი, ყველამ იარაღი აიყაროს, საჭიროა „საუკუნო ზავი მშვიდობიანობა" და „სახალხო ლიგის" დაარსება.

იქნებ, მომავალ მსოფლიო კონფერენციის გადაწყვეტილებამ არა მარტო განსაზღვროს შეიარაღება, არამედ შეუდგეს საყოველთაო იარაღის აყრას, მაგრამ ჩვენ მაინცა ვფიქრობთ, და ისტორიაც ამას ამტკიცებს, რომ ყოფნა-არყოფნის საკითხები ორ მეზობელ ხალხისა, როდესაც რამე შეეხება მათს ინტერესებს, კვლავინდებურად გადასწყდება ბრძოლის ველებზე და ვერავითარ „სახალხო ლიგა"-ს, თუ მას თავის განკარგულებაში შეიარაღებული ძალა არა ჰყავს, ვერ ძალ-უძს შეაჩეროს სისხლის ღვრა და ხალხის ხოცვა.

ჩვენის აზრით, საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტა ცეცხლითა და მახვილითა მხოლოდ მაშინ შეჩერდება და შესწყდება, როდესაც ყველა ჩვენის პლანეტის ერებს ექნებათ ერთნაირი კულტურული და ეკონომიური განვითარება. ეს შესაძლებელია ისეთ შორს მომავალში, რომ ჩვენ გაბედვით შეგვიძლიან მას ანგარიში არ გავუწიოთ.

ეროვნების თვითგამორკვევის პრინციპი, რომლის ცხოვრებაში გატარება ახლო მომავლის მოვალეობას შეადგენს და როგორც შედეგი ამისა, ახალ სახელმწიფოების დაარსება მათის ეკონომიურ ინტერესებით და საერთაშორისო მტრობით, უეჭველია, ხელს შეუწყობს არა მარტო ომის მოსპობას, არამედ მის გაძლიერებას.

მაშასადამე, **მომავალში უნდა ველოდეთ ომებს** და ამ გვარ განსაცდელს ანგარიში უნდა გავუწიოთ ჩვენ, ქართველებმა, ვინაიდგან ჩვენ გარშემო გვახვევია ისეთი მეზობლები, რომლებიც ყოველს ჟამს და წამს, თუ ხელსაყრელი იქნება მათთვის, შემოესევიან ჩვენს ტერიტორიას. ამიტომ ჩვენ ერთგვარ დასკვნამდე უნდა მივიდეთ; მიუხედავად ჩვენის ნეიტრალურ პრინციპიანობისა და სამუდამო მშვიდობიანობისა, ჩვენს პატარა რესპუბლიკამ, შეიძლება, ძალაუნებურად ომში მიიღოს მონაწილეობა.

თუ ეს ასეა, მაშინ მთელი ჯარის ძალა გაჭირვების დროს იმდენად საჭირო იქნება ჩვენის სამშობლოსათვის, რომ უამისოთ ზედმეტად მივიჩნევთ ლაპარაკს ჩვენის სამშობლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესახებ.

ალბათ ამ აზრს ადგას ჩვენი მთავრობაც, რადგან სხვა არაფრით აიხსნება მისი მასწრაფება—შექმნას შეიარაღებული ძალა და საქმე მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს.

ჩვენ ვერ გადავწყვეტთ, თუ რა გვარი უნდა იქმნეს ჩვენი შეიარაღებული ძალა, ან უნდა გვეყოლოს მუდმივი ჯარი თუ მილიცია. ამ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტას ჩვენის გამოკვლევისათვის უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, ამიტომ რომ, მომავალში, ეს როგორც დაგვანახვა ახლანდელმა ომიანობამ იომებენ შეიარაღებული ხალხები, რომელთაც ექნებათ მილიციის ხასიათი და ფორმა და არა მუდმივის ჯარისა. ჩვენს სტატიებში განვიხილავთ დირსება-ნაკლულევანებას შეიარაღებულ ძალის ფორმისა მუდმივ ჯართან შედარებით.

ჩვენა გვსურს მკითხველთა ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებასა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება საზოგადოთ ყოველგვარ საკითხის გადაწყვეტის დროს და მით უმეტეს იმ საკითხისა, როგორიც არის მეცნიერულ ნიადაგზე შექმნა-დაარსება შეიარაღებულ ძალისა, რომლის შემწეობით უნდა დავიცვათ ეხლაც და მომავალშიაც ჩვენის სახელმწიფოებრივი მთლიანობა. შეიარაღებულ ძალის შექმნისათვის საჭიროა დიდის ხარჯის გაწევა, ვინაიდგან ყოველი გაწეული ხარჯი ერთი—ასათ იქნება ანაზღაურებული ომის დროს და ყოველი მანეთი, რომლის გაღება ჩვენ ომის წინა ხანაში დაგვეზარა, ას-ათასებათ გადაიქცევა და ეს ათასები ჩვენ ძალა-უნებურათ უნდა

---

ტზედ, მისწია ფანჯრისაკენ იანი ნალის ყური და ზედ მოიკეცა. ოთახში ეს ადგილი ყველაზე უფრო მოხერხებული იყო ხელთსაქმისათვის. ნათელოდა აქ, აბანოზით დაგებული ფანჯარის დოლაბიც მარჯვე იყო საკერავისა და მის ხელსაწყოს დასალაგებლად. გულდადებითა ჰკეროდა, შახიან ფარჩას შრიალი გაჰქონდა მის ხელში. დახრილ თვალებს ტევრად მოსდებოდა შავი წამწამი: მუქ ლოყებზედ ვარდი გაშლოდა. ფართოდ გაალო გიშრის ტბის გენი და მიავლ-მოავლო თვალი გარშემო, მაგრამ ვერ შენიშნა მაკრატელი, რომელიც ამოჰფარებოდა იმისავე მუხლს, და პირთან მიიტანა ძაფი, ალმასის კბილით მოკვნიწა აბრეშუმი. პირის ნაყოფი ცოტა ფართე ჰქონდა და ტუჩები მომხო. მაგრამ მათი მტკიცე მოხაზულობა ეშხს აძლევდა ბაგს; მისწრაფების ძალასაც აგრძნობინებდა, კოცნის სიმძლავრეს. თმა გვერდზედ ჰქონდა ვაჟურად გაყოფილი და ჰპანივით ნაწნავებად ჩახლართული. შემოვიდა დედა.

— აი მანქანა, მანდვე მომართე ფანჯარაში. იცი, მამაშენს ვეტყვი, უთუოდ გიყიდოს საკერავი მანქანა საუკეთესო: ყოველთვის სხვას ხომ არა ვსთხოვთ და შევეხვეწებით; ძალიან გვამადლიან, იპრანჭებიან. მზითევშიაც გაგყვება; მაინც ისეთი მდიდარ ოჯახში ხომ ვერ მიჰყვები, რომ სულ სხვას აკეთებინო ხელსაქმე და შენ მხოლოდ ქალბატონად იჯდე. —უთხრა დედამ და დაუკოცნა შვილს ლოყა. ქალმა მადლობით შეხედა მოყვარულ დედას, ერთს წამს მის ძუძუებში ჩამალა თვისი სახე.

— ვინ იცის, თევზი ჩაიხარშა, გენაცვა;არ დახედე?

— ესე მალე? არ დამიხედნია.

— ყოჩაღ, ქალო! არ ვიცი, რა ეშველება შენს ინაბარასა შენ ოჯახსა და ქმარ-შვილს.—წარმოსთქვა დედამ.

და გაეშურა ქვაბისკენ. გასინჯა საჭმელი, გადმოდგა, თევზი ქაფქირით ამოყარა ტაბაკზედ. ოხშივარი დადგა ოთახში, მადის მომგვრელი სუნი.

— მოდი, ქალო, ბარემ სუფრაც გავშალოთ. საცაა, მამაშენი შემოვა.

— იჰ, შენ გაშალე, დედი! მე კიდევ ცოტას შევკერავ მამას მოსვლამდის; ეგება, დღეს მთლად მოვათავო. სად წავიდა მამა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიღოთ კიდეც ომის დროს და თან არც არავითარი მნიშვნელობა ექნებათ და ვერ გადაარჩენენ ჯარს დამარცხებასა და გახრწნას.

თუ გვინდა ოფიცერთა საკითხი იქვეს სწორეთ დასმული, ხარჯებს არ უნდა მოვერიდოთ, ვინაიდგან კარგა მომზადებული ოფიცერთა კორპუსზე დამყარებულია კეთილდღეობა მთელის ჯარისა და განსაკუთრებით ეხლანდელ ჯარისა, რომელსაც მილიციის ხასიათი აქვს.

შემდგომ აღწერაში ჩვენ აღარ შევეხებით ამ საკითხის ფინანსიურს მხარეს. არ შევეხებით იმიტომ, რომ მკითხველს ნათლად გადავუშალოთ სურათი ოფიცერთა საკითხის ნამდვილ გადაწყვეტა-მოგვარებისა.

თუ ჩვენს მიერ შემუშავებული დებულება მომავალში განხორციელდება მაშინ, ამა თუ იმ კრედიტის რაოდენობის მიხედვით, უნდა შევიტანოთ ჯეროვანი შესწორებანი.

ი—ძე.

---

# ქართველ ჯარისკაცის მოვალეობა

წინათ ქართული დედა თავის შვილს ომში გასტუმრების დროს გზას ულოცავდა. ჩვენმა დედებმა არაერთხელ გადაარჩინეს სამშობლო აოხრებას, მტრისაგან დარბევას; ჩვენ ისტორიაში ხშირია იმის მაგალითები, რომ მთელი ოჯახი წასულა ლაშქრად (ცხრა ძმა ხერხეულიძენი).

საუბედუროთ 117 წლის მონობამ მამულის სიყვარული გაგვინელა, მიგვიდუნა.

და აი სწორედ ამის ბრალია, რომ ჩვენი ჯარის-კაცები აღარ არიან ისეთნი, როგორებიც იყვნენ წინედ. თვით რუსეთი ამაყობდა ქართველ ჯარის კაცით. ყველა იცნობდა აქ მის [illegible] მოსაზრებას, ვაჟკაცობას და დისციპლინას. მოგვეხსენებათ, ძველ რუსეთის დროს ჩვენს ჯარის-კაცებს შორეულ ქალაქებში უხდებოდათ სამსახური, სადაც ისინი აუტანელ პირობებში იყვნენ. მიუხედავათ ამისა, ქართ. ჯარ.-კაცი ყოველთვის განთქმული იყო თავისი ერთგულ და მხნე სამსახურით.

დღეს, როდესაც ქართველ ჯარის-კაცს თავის ღვიძლ სამშობლოში უხდება სამსახური, მოვალეა ორკეცი ერთგულება გამოიჩინოს სამშობლოს წინაშე ყოველთვის. რაში გამოიხატება ერთგული სამსახური? ჩვენ არ ვლაპარაკობთ აქ იმ ერთგულ სამსახურზე, რომელიც ძველ რეჟიმის დროს არსებობდა. არა, ძველათ ჯარის-კაცი ხესებ ემორჩილებოდა უფროსებს. მას ნებაც კი არ ჰქონდა გამოეთქვა თავისი აზრი ან მისწრაფება ან თავის გაჭირვებაზე ეთქვა ვისთანმე რამე. იგი დაბეჩავებული მონა იყო, რომელსაც, რასაც უბრძანებდენ, სიტყვაშეუბრუნებლათ, უნდა აესრულებინა. დღეს ჯარის-კაცი მოქალაქეა, თავისუფალ საქართველოს შვილი. იგი თავისუფალია, ვინაიდგან თვით მისი სამშობლო საქართველოც სრული თავისუფალია. საქართველოში სიძულვილსა და სხვის დამონებას ადგილი არა ჰქონია და არც ექნება. ჯარის-კაცი დღეს თავის კერას, თავის სამშობლოს, საქართველოს, ემსახურება. მის მოვალეობას შეადგენს: დაიცვას სამშობლო, დაუჯეროს უფროსებს, ვინაიდგან ოფიცერი ბრძანებელი კი არა, მისი უფროსი ძმაა, რომელმაც უნდა აღგზარდოს იგი ისე, როგორც მასწავლებელმა თა-

---

— ღვინის მოსატანად გადაიარა.

— ვერ დასაქმებდა ვანოს? ამ ბოლო დროს თითქო მეტისმეტად უფროხილდება იმას მამა და ეხაირება.

— განა პატარა ბიჭი ლაა, ხელწამო საკრავი, რომ წარამარა არბენინოს შინათკენ თუ ბაზარში. ვაჟკაცია, წვე-ულვაშიანი- ცოტა ამაყი ახალგაზრდაც დადგ: საქიროა ფრთხილად მოპყრობა, მამაშენი ძალიან აფასებს იმას და პატივსა სცემს; იმას რომ ჰკითხო, ვანოსავით ჰალალი, მუყაითი და მიხვედრილი ორი თუ არ გამოვა ამქარში. გაზლვარზღვარება კი ძალიან იცის მამაშენმა; თუ მოეწონა ვინმე, სულით ხორცამდი მიენდობა.

— ამაყია თუ არა, მაინც უნდა მოსულიყო და ენახა, საქმე ხომ არ გვქონდა რა საიმისო; ჩვენ სახლში არის გაზრდილი, მამას გამოუყვანია ეგ კაცად და სრულებითაც არ შეეფერება ჩვენთან ზვიადობა; ჯერ ისევ მამას შაგირდი არის და ტყუილად მოაქვს თავი.—სთქვა ქალმა. და წარბი შეიკრა უსიამოვნოდ. ვანო რომ თითქო ოდნავ განზე გაუდგა მათ ოჯახს, ეს ორთონ ანიკოს ბრალი იყო; იცოდა ეს ქალმა, ისიც კარგად ახსოვდა, როდის შელახა ვაჟის თავმოყვარეობა და დააჭმუნვა ის.

— არც გუშინ ყოფილა ვანო ჩვენსას, თითქო გაიბუტა. რადა მეშველება! ძალიან გაყვნიზდი და გაიბუნჩე, მე ვიცი, უშენოდ ველარ გავძლებ, ლუკმა გამიმწარდება. რახან ეგრეა, ზედაც აღარ შემოგხედავ!—დაასკვნა ქალმა თავის გონებაში.

მაგრამ ამ დასკვნამ ვერ დაამშვიდა მისი ნაწყენი გული. ანიკო იმთავითვე ნაჩვევი იყო, ვანოს თვალწარბში ეყურებინა იმისთვის, აცა, რას მოისურვებს ან რას დამსაქმებსო. რაც უფრო მოიწიფა ვაჟი, იმდენად მეტი მორჩილი შეიქმნა ქალისა და მონა; სიხარულით ასრულებდა ახალგაზრდა ყველა მის სურვილს, თუნდ ჟინიან ბრძანებას. ვანო ჯილდოსაც იღებდა ამისთანა მორჩილებისათვის; ქალი ან გაუღიმებდა, ან ღმობიერად შეხედავდა და ეს ვაჟს უფრო უხაროდა, სანამ თუნდა მუჭა მარგალიტი. იწყინა ქალმა, როცა ნახა, მის მორჩილ-მონას ძალა უპოვნა და შესაძლო გამხდარიყო მისთვის ეგერ ოთხი დღის განმავლობაში არა ჰხლებოდა მას, მორჩილებით არ დაეხარნა მის წინ თავისი თავმოყვარეობა თუ სიამაყე.

ვისი მოწაფე აასრულოს ყოველი მოთხოვნა უცროსებისა. დისციპლინა სწორედ ამაში გამოიხატება, უიმისოთ კი სამხედრო სამსახური არ შეიძლება. ჯარის კაცი იქნება თუ ოფიცერი ორივემ კარგად უნდა იცოდეს თავისი დიადი დანიშნულება და მოვალეობა სამშობლოს წინაშე; სამშობლოს ერთგულება და მისი დაცვა. ჩვენ ბევრი მტერი გვყავს, შინ და გარეთ თუმცა არავისათვის რა დაგვიშავებია, მაგრამ ეს მტრები მაინც ემუქრებიან ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას. მათ უნდათ დაამხონ იგი და მერე თავისუფლად ინავარდონ აქ. ამის ნიშნად ბევრია: ძეგვის ხიდი აგვიფეთქეს, თბილისში ტრამვაის ელექტრონის სადგურის და ვერის ხიდის აფეთქება მოიწადინეს.

აი, სწორედ ეხლა მართებს გაორკეცებული მუშაობა ჩვენს ჯარის-კაცს; მას შეუძლია და მან უნდა იხსნას სამშობლო განსაცდელისაგან. ჩვენ იმედიც გვაქვს, რომ ჩვენი ჯარის-კაცი პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე და დაამტკიცებს, რომ იგი ღირსეული შვილია საქართველოსი.

ალ. გორგაძე.

# სამხედრო ცხენები საქართველოს რესპუბლიკაში.

ცხენი ნამდვილი კეთილშობილი და ლამაზი ცხოველია, კაცისათვის საჭირო „აუცილებელ“ ცხოველად შეიქმნა იმიტომრომ სხვა ცხოველს არ შეუძლია მისი მაგივრობა გაუწიოს ადამიანს. ცხენის მალიადობა, ღონე, მამაცობა, სიუჯიერე და ერთგულობა, აგრეთვე გულისხმიერობა ცნობილია ყველასათვის. იკი დიდ როლს თამაშობდა ყველა ერის ისტორიაში არც ჩვენი ერი შეადგენს ამ მხრივ გამონაკლისს.

თუ ცოტახნით ჩავიხედავთ ჩვენს ისტორიაში, დავინახავთ, რომ ჩვენშიაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ ცხენის მოვლა-მოშენებას. თვარსმან მეფისა და იმის ამალის მოხდენილმა ჯირითმა მთელი რომი განაცვიფრა თავის დროზე. ცხენებზე არა ერთგან ლაპარაკობს უკვდავი შოთა. ცხენის მოშენებაში უაღრესი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ცხენის სილამაზეს და იორღებას. საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს, ჩვენის ერის თავისუფლების დაკარგვასთან ერთად, საქართველოდან გაგზავნილ იქმნა საუკეთესო ჯიშის ცხენები.

ერის თავისუფლების დაკარგვას მოჰყვა სულიერი გაკოტრება, გადაგვარება ეროვნულ კულტურისა და ამასთან ცხენის მოვლა-გამრავლების დაცემაც. დღეს, თუ შეიძლება ითქვას, საქართველოს არ მოეპოვება საკუთარი ჯიში ცხენებისა გარდა იმისა, რაც დარჩა რუსეთის დაშლის შემდეგ. მაგრამ ეს დარჩენილი სამხედრო ცხენები ისეთ ანტისანიტარულ-გიგიენურ მდგომარეობაშია, რომ მათ განადგურება მოელისთ თუ დაუყონებლივ არ იქმნა ყურადღება მიქცეული სახელმწიფოსაგან განსაკუთრებით კი სამხედრო უწყებისაგან.

თითქმის ყველა ჯარის ნაწილებში ცხენების თავლა არ იგვება, პატივი თითქმის ნახევარ ალაბის სისქეზეა. ცხენების მისაბმელ ადგილი ისეთსავე მდგომარეობაშია, წყლის სადენი, თუკი იმყოფება ნაწილებში, ძლიერ უსუფთაოთაა, არხებისადაც მიდიდან გადმოდენილი წყალი მოედინება, გაბინძურებულია. არხი ამოვსილია პატივით, ეს პატივი დამპალია: ასეთი ადგილები მეტად საშიშია ჯარისკაცებისთვის და ცხენების ჯანთელობისთვისაც, რადგან აჩენს სინოტივეს და სიშმორეს

— ვიცი, რომ მოხიბლულია ჩემგან და მიკვირს, როგორღა ახერხებს განზედ გადგომას?! ისეთი ვედრებით მიყურებს ხოლმე, თითქო ლოცულობსო ჩემზედ. იქნება დავკარგე ძალა მომჯადოები და ამ ჩემ თვალებს ველარ შეუძლიანთ რკინის ბორკილი დაადონ თავწასულს?! ვნახოთ! —იმუქრებოდა ქალი

იმისთვის კი არა ჯავრობდა ანიკო, რომ ნანატრი ვაჟკაცი ცდილობდა გაჰშვებოდა მას ხელიდან და თავი გაენთავისუფლებინა. არა! ვანოს არა სთვლიდა ის თავის ოცნებად, არც მასთან სურვილით შეკავშირებასა ნატრობდა; მხოლოდ თავმოყვარეობა შეჰლახოდა ჟინიან დედოფალს, რომელსაც ყველა უნდა ესავდეს, ყანგაროდ ემონებოდეს და თვით ამ უსიტყვოდ მორჩილებაში ჰპოვებდეს თავის კმაყოფილებას, ფასდაუდებელს. ანიკოს დედამაც იცოდა ესეთი გულისთქმა განაზებულ-გაყვითიზებულ ქალისა და იმისათვის დიდ ყურადღებას არ აქცევდა მისგან ვანოს სახელის დაჟინებით ხსენებას: გული გადახსნილი ჰქონდათ დედა-შვილს ერთმანეთისათვის.

ბ.

ბარბარე დარწმუნებული იყო, რომ მის ქალს გაუჭირდებოდა ცხოვრება, თუ ისეთ ოჯახში მოჰყვებოდა დიასახლისად, როგორც იყო მისი სახლი. ხელოსნის ხელმოკლე მეკომურობაში თითონ დიასახლისი უნდა ირჯებოდეს ძალიან, რომ ქმრისგან შემოტანილ ცოტა სარჩოს ბარაქა ჰქონდეს და გამტანობა: უნდა ალაგებდეს სახლს, ამზადებდეს საჭმელს, უკერ-ურეცხავდეს ქმარ-შვილს, აწოვებდეს პატარას, უნდა შეეძლოს მიმსვლელ წამსვლელის ფაქიზად და ხელგაშლით მიღება, გულსავსე გასტუმრებაც.

— დიასახლისი ჩვენს ყოფაში უთუოდ თვალ-პაზროვანი უნდა იყოს, ხელგამომავილი და მომჭირნე, რომ მცირედიც გააწვდინოს ყველაფერს, პირნათლად გამოიყვანოს თავისი კერა მტერთანაც, მოკეთესთანაც. დატანჯულია იმისთანა სახლში დედაკაცი. ჩემი ანიკო ვერ შესძლებს ამისთანა ყოფას, გაეწამება... —ფიქრობდა თავისთვის ბარბარე.

და ნატრობდა ასცდენოდა მის ქალს ეს ბედი. მართლა და, ამისთანა ოჯახში დიასახლისს მოსვენება არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინოტიე კი ბუდეა შავი ჭირის, სიმშრალე-კი მალარიისა, ცხენები ასეთ სიბინძურის გამო თითქმის ყველა ავადმყოფია კანის ავათმყოფობით. უმეტესად „დენშესტონსურა" და სკაბიესით. მასთან ცხენებზე გავრცელებულია „მალლეუს" ამას ხელს უწყობს ასეთი ანტისანიტარული და ანტი-გიგიენური მდგომარეობა სამხედრო ცხენებისა. ცხენები არ იწმინდებიან, არ სუფთავდებიან. მთელი კანი სავსე აქვთ ჭუჭყით-მტვრით. ჩლიქი არასოდეს არ სუფთავდება და არ იბანება წყლის სმევა რაციონალურად ვერ ხდება; ცხენებს თავის დროზე და რიგზე არ აბანებენ, ცხენებს ცუდად სჭედავენ ანუ უკეთ ცხენებს არამც თუ არ სჭედავენ, არამედ უფუჭებენ ჩლიქებს. სამხედრო ცხენები რომ არ განადგურდნენ, საჭიროა: დაუყონებლივ გასუფთავდეს ცხენების თავლები საბმელი ალაგები, მთელი ეზო სამხედრო ნაწილებისა, წყალსადენი მილები: არხები, შეკეთდეს ბაგები, თავლის მიწური იატაკები გასწორდეს და ორმოები ამოივსოს სუფთა მიწით. გაიწმინდოს და გასუფთავდეს ბაგები ჭაერის სადენი მილები და ფანჯრები, ყველა ამ მანიპულაციის შემდეგ უნდა მოხდეს დეზინფექცია გიდროპულტით, მოეწყოს საზარბაზნო და საცხენოსნო ნაწილებში ფერშლების მოსამზადებელი სკოლები კარგი ჩლიქი მაჩვენებელია ცხენის კარგ სამსახურის. ამისათვის საჭიროა სამჭედლო სკოლები. აგრეთვე ყველგან საზარბაზნო და საცხენოსნო ნაწილებში უნდა იყოს მოწესრიგებული ცხენების სავათმყოფო ლაზარეთები, წამლებით და ქირურგიულ იარაღებით უზრუნველყოფილი. თუ ზემო მოხსენებული არ იქმნა ცხოვრებაში გატარებული, ჩვენი ლაშქარი დაკარგავს მთელ შემადგენლობას ცხენებისას. დახანება არ შეიძლება. რაც შეიძლება, სწრაფად უნდა ვუშველოთ საქმეს.

**სამ. ბეითალი ი. ქუთათელაძე.**

---

# გერმანეთში

## ქართველ ახალ გაზრდების გაგზავნის შესახებ.

(ორიოდე სიტყვა)

როგორც არ უნდა გათავდეს ის არეულობა, რომელმაც თავის მორევში გერმანეთი ჩაითრია, მაინც შეიძლება ითქვას დანამდვილებით, კულტურას რომ გერმანეთი არ დაჰკარგავს არც თავისს და არც შრომის უნარს, ისინი ამოხეთქვენ ნანგრევებიდან და შეჰქმნიან ახალს, უფრო მაღალ საზოგადოებრივს ფორმებს ცხოვრებისას.

ჩვენ ვესალმებით ამიტომ იმ ამბავს, რომ ქართველ ახალ გაზრდების თვალი, რომელთაც სპეციალური განათლება საუკეთესო საჩუქრად მიაჩნიათ სამშობლოსათვის, გერმანეთისაკენ არის მიპყრობილი. როგორც სჩანს საქმე მთავრობისაგან უნდა იყოს გამოწყობილი, მას გადაწყვეტილი ჰქონია თავდაპირველად ასოცი კაცი გაამგზავროს გერმანეთში გაზაფხულზე, ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს დაპირება სინამდვილედ იქცეს. უკეთესს, ჭეშმარიტად, ვერას იქმდა საქართველოს მთავრობა ქართველ ახალგაზრდობისათვისა იმითია. ის მთავრობა არაფითარ ხარჯებს არ დაერიდება ამ მშვენიერ მიზნის განსახორციელებლათ.

პირველი ყოვლისა, საჭიროა, რომ ის ახალგაზრდობი რომლითაც გერმანეთის კულტურა უნდა შეითვისონ. და შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ შეძენილი ცოდნის სამოციქულოთ მოუმზადებლად არ გაუდგნენ გზას. საჭიროა, რომ ესენი ეხლავე და აქვე შეუდგნენ გერმანულ ენის შესწავლას. სამი თვის განმავლობაში რომ თითო საათი იმუშაონ დღეში, ესეც დიდი შეღავათი იქნება მათთვის შემდეგში. პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, საყოველდღეო ენას უნდა ექნეს ყურადღება მიქცეული მაგრამ, ამასთანავე, არც მეცნიერული ენა უნდა იქნეს მივიწყებული. ეს უკანასკნელი დღეს ისე ძნელი აღარ არის, როგორც წინათ იყო.

ცნობილი ისტორიკოსის ლ. რანკის აზრით ყოველი მეცნიერი სცდილობს მოკლე და მარტივ წინადადებებით სწეროს, გარდა ამისა, ლექსიკალურადაც უფრო ადვილი მოსარევია მეცნიერული პროზა, ვიდრე ბელლეტრისტიკა, რადგან ერთი და იგივე გამოთქმები და სიტყვები ხშირათ მეორდება აქ. [illegible]

---

აქვს არც ერთ წუთს, მის სიამოვნებას მხოლოდ ის შეადგენს, თუ ხელს დაჰრევს ყოველსავე წვრილმანს და არ შეარყევს ცხოვრების სვლას განსაზღვრულ სადინელში, არ შეაყენებს საოჯახო საქმეების მწყობრ მიმდინარეობას. ერთ დღეს მაინც უნდა დაჰყო ამისთანა დიასახლისის ოჯახში, თვალი ადევნო მის შეუფერხებელ ზრუნვა-შრომას, რომ გაგიკვირდეს, როგორ უძლებს ადამიანი ყოველს ჟამს იმ დაუდგრომელ ფუსფუსს, მოსაბეზრებელს ან როგორღა ინარჩუნებს გულის შუქს თუ ღიმილსიცილის უნარს. მხოლოდ მაშინ დააფასებ კერის დარაჯად გაწვდილს დაუღალავ მარჯვენას და მოწიწებით აკოცებ მაჯაზედ, თუნდაც იგი ხელი ისე გათქათებული არ იყოს და სუნნელებით ნაპკურები, როგორც სათუთად მოვლილი მაჯა ფუნთუშა, ძვირფას მელევანით შემკულ-დამშვენებული.

ბარბარეს ეშინოდა, ვაი თუ შესაფერი დიასახლისი ვერ დადგეს ანიკო ხელოსნის ოჯახში, ან ვერ აიტანოს მომჭირნეობით მოზომილი ცხოვრება. ჯან-ღონე არ აკლდა ქალს არც თუ მინაზებულ-მიმტკნარებული იყო აგებულებით. მაგრამ აზიზად იყო აზრდილი; სასწავლებელმაც უფრო გონების მუშაობისაკენ გადახარა ქალი. ააცდინა ჯანის გარჯას და ხელით შრომისათვის შეაზარმაცა. კარგად სწავლობდა გოგონა, ის პაწაწა სასწავლებელი საგანგებოდ დაათავა, ოჯახის სასახელოდ; ისეთი ამხანაგებიცა ჰყავნდა იქ, რომლებიც უფრო უზრუნველი სახლებიდან იყვნენ და თვითონ არა სჭირდებოდათ მუშაობა თუ მორბედობა. იმათა ჰბაძავდა პატარა და მით უფრო ადვილად, რომ სახლში გამრჯელი დედა ტრიალებდა და არც თუ ძალიანა საჭიროებდა უნცროსისაგან ხელის წახმარებას. იმ შეძლებული ამხანაგების სახლში რასდენჯერმე მოჰყვა ანიკო სტუმრად და გულდასმით ათვალიერებდა სუფთად მცხოვრებ უზრუნველ ხალხს, სიამოვნებით ითვისებდა მათ ყოფას; ამის გამოც იყო, რომ მძიმე საქმეს ერიდებოდა შინ, ჭუჭყიანს. არ ეცალა მაშინ. სკოლას და მის მოთხოვნილებას უნდებოდა მთელი მისი დრო. მეტადრე ძალიან უფრთხილდებოდა ანიკო თავის ხელებს. ერთხელ ლახვარიძეებისას იყო ამხანაგებთან და იქ მოჰკრა ყური თავისზედ ნათქვამს:

— რა მშვენიერი ხელები აქვს ამ ბალღს! პატარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვე რომ იმუშაოს საშუალო ნიჭის პატრონმა ახალ გაზრდამ ასეთი პროზის შეთვისებაზე, უკვე საკმაოდ მომზადებული იქნება გერმანეთში გასამგზავრებლად. ზაფხულის სემესტრი იქ აღდგომის შემდეგ იწყება და მათ მაშინვე შეეძლებათ უნივერსიტეტში ჩაწერა.

ეხლა საკითხი ისაა, რის შესწავლას უნდა მოჰკიდოს ხელი გერმანეთში ქართველმა ახალგაზრდობამ. პირველ ყოვლისა, მეურნეობისა. საქართველო ოდითგან იყო განთქმული თავის ნაყოფიერებით, მაგრამ ბევრგან მიწა უკვე გამოიფიტა მოუვლელობით, საჭიროა ხელოვნურად გაპატივება ასეთ ადგილებისა. საქართველოში ბევრგან ნიადაგს წყალი აკლია, ბევრგან მოჭარბებული აქვს, ორივე უბედურებას უშველის განათლებული მეურნე. გარდა ამისა, საქართველო ის კურთხეული ქვეყანაა, სადაც ყოველნაირი ჰავაა. ყველას თავის კულტურა აქვს. ყველას სხვა და სხვანაირად უნდა გამოყენება. აქ მშვენივრად ხარობს: ჩაიც, ბამბაც, თუთუნიც, ვაზიც, ხილიც და მწვანილიც, აქ არის ადგილები, სადაც უკეთილშობილესი მცენარეთა გაშენებაც კი შეიძლება. ყველა ამას მეცნიერული მომზადება სჭირია. ამ მიზანს ემსახურებიან სწორედ გერმანიაში არსებული საშუალო და უმაღლესი სამეურნეო სასწავლებლები უმთავრესი ყურადღება პირველებს უნდა მიექცეს, რადგან ესენი 2—3 წელიწადში აძლევენ მოსწავლეს დამთავრებულ ცოდნას. აქ, სამეურნეო და საბუნებისმეტყველო საგნების გარდა, პრაქტიკულ მუშაობასაც დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ასეთ სასწავლებლების აბიტურიენტებს დიდი სარგებლობა შეუძლიათ მოუტანონ ჩვენს ქვეყანას.

F 1118

# პრესსა

ადგილობრივ გაზეთებში გადმობეჭდილია წერილი სვიატიკოვისა, რომელიც ცნობილ ტროცკის შესახება სწერს: ლენინის შემდეგ უდიდესი პიროვნება ბრონშტეინ-ტროცკია. იგი დაიბადა 1877 წელს ხერსონის გუბერნიაში. და გაათავა, თუ არ ვსცდებით, ოდესსის საკომერციო სასწავლებელიო. სწორედ სცდებით, ბატონო სვატიკოვო. ტროცკიმ ნიკოლაევის საკომ. სასწავლებელი გაათავა და არა ოდესისა სცდებით აგრეთვე იმაში, რომ იმ ლენინის შემდეგ ტროცკი უდიდესი პიროვნებაა. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ლენინი სრულიად ვერ გუობს თავის ახლო დიდ პიროვნებებს. მის გარშემო ადგილი ცარიელია შემდეგ მოჰყვებიან მხოლოდ „პეშკები“. ამ „პეშკებში“, მართალია, პირველი ადგილი „ბალალაიკინს“ (ასე უწოდებდა ტროცკის წინად ლენინი) უჭირავს. მაგრამ იგი მაინც „პეშკაა“.

ლენინის უბედურება ის არის, რომ მას რაღაც მზაკვრული ნება აქვს თან დაყოლილი, თორემ როგორც ძლიერ პიროვნებას, როგორც ბელადს და ორგანიზატორს, მას ვერც ერთი რუსის სოციალისტი ვერ შეედრება. ჩვენის აზრით, ბაკუნინს შემდეგ რუსეთის სოციალისტურ წრეებს არც წამოუშვია ასეთი ძლიერი პიროვნება. ჰგავს, კიდეც იგი ბაკუნინს თავის უკიდურესი ნიჰილიზმით, ბუნტარულ სულით და ტლანქ, მოუხეშავ ენერგიით, რომელიც არავითარ საშუალებას არ უფრთხის. ტროცკი-კი მართლაც რომ „ბალალაიკინია“, მისი სტიქია ლაყბობაა და არა ძალთა ორგანიზაცია და მათი წინამძღვრობა. იგი ძლიერია, როდესაც მას სხვა წინამძღვრობს, სუსტი კი, როდესაც დამოუკიდებლად მოქმედობს.

* * *

„კავკაზსკოე სლოვო“ ეხება ბაქოში ინგლისელების შესვლას და დასძენს: ეხლა კი დაისჯებიან ისინი, ვინც ენკენისთვის ამბები დაატრიალა ბაქოშიო. ამ სტრიქონების ავტორმა უნდა იცოდეს, რომ სისხლის აღების კანონები ნაკლებ შეეფერებიან მეოცე საუკუნის კულტურას და მორალს გარდა ამისა, რად არ ჰფიქრობთ, რომ

---

ბი, სუფთად დაკვერცხილები. თითქო ვინმე კეთილშობილის ჩამომავალია და არა უბრალო მჭედლის გოგოვო.

ფრაზის მეორე ნახევარმა გული ატკინა პატარას, პირველმა სიტყვებმა კი ძალიან ასიამოვნეს. ამის შემდეგ მეტად უფრთხილდებოდა ხელებს, თათმანში ინახავდა, ცდილობდა ნიავს არ დაეშაშრნა სათუთნი ან ოფლს არ დაელბო, არ დაელიპა.

— შეიძლება ისეთ კეთილყოფაში ჩავვარდე, რომ კოხტა ვაჟები მეც ხელზე მკოცნიდნენ, როგორც ქალბატონ მაკრინეს, ლახვარიძის ცოლს. ვინ იცის?! იქნება ბედმა მჭედლის ქალს თავადიშვილის ცოლობა არგუნოს და თავადის ქალი უბრალო ხელოსნის სახლში დასვას. შეიძლება! ბევრჯერ მომხდარა ასეთი ამბავი; ზღაპრად ხომ ხშირად გამიგონია. რატომ?! სკოლაში ხომ ვერვინა მჯობდა და ცხოვრებაში რაღად უნდა ვიყო იმაზე მდარე, ფიქრობდა—ქალი.

და უფრთხილდებოდა თავის სინორჩეს, ფაქიზად ინახავდა თავსა, ნებივრად, რომ უფრო სანდომი გამოჩენილიყო და სატრფიალო. თუ იღბალი მის კარს რაინდს მიიყვანდა შემკობილს, ქალის დანახვაზედ კმაყოფილებას იგრძნობდა ის სრულს, განიმსჭვალებოდა მის სიყვარულით. ეხლაც, ნემსს რომ აღამაშებდა ხელში, ძალიან ფრთხილობდა, არ დაეკოდნა მწვეტიანი შუშა-თითები, არ დაესახიჩრებინა ლამაზები. ჰკერავდა ქალი, ფარჩას აშრიალებდა ხელში და თან ოცნებობდა, თავის მომავალს უღიმოდა, ვარდისფრადა სახავდა იმას, სამკაულებით ამშვენებდა ძვირფასად, ოზოლ მარგალიტებით ამკობდა ხელისხელ საგოგმანებით. და მის ოცნებისაგან ნაქარგ სურათებში სრულებით არ მოსჩანდნენ მჭედლის ჩაქუჩი თუ მარწუხ-მაშა, თერძის მაკრატელი, ქაფჩა კალატოზისა, არც არავითარი იარაღი სხვა ხელოსნისა; აღარ ჩანდა იქ დაკოჟიატებული მარჯვენა ჯანით მშრომლისა. ნაკლულება და ზრუნვაც მთლად განდევნილიყო იმ არედან, ნათელი რომ მოჰფენოდა მის მომავალ სავანეს, უდარდელ ყოფის სიამე, ყაყაჩოს ფერი.

მის გვერდით მყოფი ჭაბუკის სახე დაღონებული? მისი სურვილით გაჟღენთილი ვანოს სურათი?

ეჰ, აღარა სჩანდა იქ. კვამლი ფარავდა იმას ანიკოს თვალთაგან, ხშირ რამ ნისლი. ქალი აღარც კი იხეძებოდა იმისკენ, რომ აჩენილ ბოლს თვალები არ

ასეთის დასჯის შემდეგ ბაქოელი მუსულმანები თავის მხრივ მოითხოვენ დამსჯელთა დასჯას, და მაშინ ხომ მეორეთ მოსვლამდე გაგრძელდა სისხლის ღვრა. ჩვენ კი პირიქით, იმედი გვაქვს, რომ ინგლისელები არავითარ შურისძიებას არ დაუთმობენ ადგილს და თუ საჭირო იქნება, ძალით ალაგმავენ აღელვებულ ნაციონალისტურ გულის თქმას.

## სხვა და სხვა ამბები.

დროებითის ზავის ვადის გარგძელება.

დროებითი ზავის ვადად 30 დღე იყო დადებული, რომლის შემდეგ უნდა დაწყებულიყო კონფერენციის მუშაობა საბოლოო საზავო პირობათა დადებისათვის. ეხლა, როგორც თბილისის გერმანელ დელეგაციას ატყობინებენ, ვადა 5 დღით გაგრძელებულა ე. ი. 35 დღეს გადაუდვიათ.

სად იმყოფება ვილჰელმი.

თბილისის გერმანელ დელეგაციის ცნობით, იმპერატორი ვილჰელმი ჰოლანდიაში იმყოფება და სამეფო სასახლეში სცხოვრობს. იმპერატრიცასა და კონპრინცესათვის ჰოლანდიაში წასასვლელად გერმანიის ახალ მთავრობას საგანგებო მატარებელი დაუმზადებია და ნება დაურთავს, რასაც ისურვებენ, თან წაიღონ. ის ნივთები და საიმპერატორო საკუთრებახი, რომელთა დატოვებასაც ისურვებენ, ახალი მთავრობა ჰპირდება, თავის მფარველობის ქვეშ მიიღოს.

სურსათი გერმანიისთვის.

შეთანხმების სახელმწიფოთ ამერიკისათვის ნება დაურთავთ, რომ მან მიაწოდოს, გერმანიას საჭირო სურსათი. განზრახვა აქვთ [illegible] შემოზიდონ ნაყინვი ხორცეულობა, [illegible] მალე არის.

ჩეხო-სლოვაკების რესპუბლიკა.

ჩეხო-სლოვაკების რესპუბლიკის პრეზიდენტად პროფესორი მახარიკი აირჩიეს. პრემიერ-მინისტრად დაინიშნა დ-რი კრამარჟი.

ლიტვის დამოუკიდებლობა.

„ფრანკფურტ. ცეიტ.“ იუწყება, რომ ვილსონმა ლიტვის ეროვნულ საბჭოს პრეზიდენტს ვაშინგტონში სიგელი გადასცა, რომლითაც ლიტვა ცნობილია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ამასთანავე, ვილსონი იმედს გამოსთქვამს, რომ ლიტვის ყველა მიწები აღმოსავლეთ პრუსიაში კენიკსბერგამდის შეერთებულნი იქნებიან ერთ ეროვნულ სახელმწიფოდ.

ვილსონის განცხადება.

პრეზიდენტ ვილსონმა, გამოუცხადა რა კონგრესის ორსავე პალატას დროებითი ზავის პირობები, მოიხსენია ის ჰუმანიური ნაბიჯები, რომელიც გადადგმულია ცენტრალურ სახელმწიფოთა უმწეო მდგომარეობის შესამსუბუქებლად. პრეზიდენტი ვილსონი პესიმისტურად უყურებს საზავო პირობათა ხანგრძლივობას და ამბობს, რომ თუ გერმანიის ხალხი მოისურვებს მშვიდობიანი გზით მოისპოს უთანხმოება, იმ შემთხვევაში მოკავშირენი მას ყველაფერში დაეხმარებიანო.

**ნავთი ორთქმავალისთვის.** ბაქოდან ნავთის გამოტანის განახლების გამო საქართველოს რკინის გზებზე მატარებლების მიმოსვლისათვის შეუდგნენ ისევ ნავთის ხმარებას ქვა-ნახშირის მაგივრად, რომელიც, გარდა უვარგისობისა, რკინის გზების გამგეობას უფრო ძვირად უჯდებოდა. ამ ჟამად შეუდგნენ ორთქლმავლების გადაკეთებას ნავთის სახმარებლად.

**ვერის ხიდის აფეთქების განზრახვა.** ნოემბრის 17-ს ვერის ხიდის მარჯვენა ნაპირზე აღმოაჩინეს დინამიტები და სხვა ასაფეთქებელი მასალები. ბოროტ-მოქმედების ადგილს მივიდა გენერალ-გუბერნატორი მაზნიაშვილი. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ არის.

**დ. ქობულეთი.** ოსმალოს ჯარი წასასვლელად ემზადება, ხალხს ეუბნებიან: ახლა ჩვენ მივდივართ და თქვენ კი ქართველებისაგან თავი დვაიცავითო. ხალხი ზიზღით უყურებს მათ, ვინც ოსმალების შემოსვლაას ხელს უწყობდა.

რედაქტორი ა. ს. ცქანიძე.

---

დაეწვა მისთვის, ცრემლი არ დაეჟურნა მათგან უამო.

ანიკო ნელ ლილინს აყოლებდა ფარჩის შრიალს და შორიდან ულიმოდა ნანატრ სახეებს. დედა თვალს ადევნებდა თავის საყვარელ ქალის მომღერალ სახეს და გულში ალერსი უგუბდებოდა მღელვარე. ვეღარ გასძლო შორიდგან მზერა! მიეახლა ფეხაკრეფით და ჩაკოცნა კისერში ნაწნავებ შუა.

- რა კარგი ხარ, გენაცვალე, საამო, ტკბილო!— უთხრა მოულოდნელი ალერსით შემკრთალ ქალწულს.

და ცხადად წარმოუდგა დედაკაცს ის ეშხით სავსე კოცნა, რომელსაც მისთვის ბევრჯერ დაუტკბო ტუჩ-ბაგე, როცა ახალგაზრდობისას გრძნობით დამთვრალი ჩაჰკონებია ქმრის სურათ ყელს მკვიდრად ნაგებს, და ამოუწოვნია იქიდან ძალა ტკბილი. მაინც ხომ აგებულობით ანიკო ძალიანა ჰგვანდა თავის მამას, როცა ის ჯერ ისევ ნორჩი იყო, ყაიროსებ ტანშეყრილი, სავსებით სავსე სიმკვირცხლით თუ სიკისკისით ძლიერით. მხოლოდ ხელები გამოჰყვა დედისა.

(შემდეგი იქნება.)

ვ. ბარნოვი.

ტფილისი. სტამბა „სახალხო საქმე“ – კალოუბნის ქუჩა, №14.

ფასი ორი მან.